

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სს ნიკორა

2019 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	12
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	14
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
+ 995 322 604 406

სს ნიკორას აქციონერებს

მოდIFIცირებული დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს ნიკორას (“მშობელი საწარმოს”) და მისი შვილობილების (ერთობლივად “ჯგუფის”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ქონდათ საკითხებს, რომლებიც განხილულია “დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლების” აბზაცში, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლები

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართულია გუდვილი საბალანსო ღირებულებით 43,618 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი: 43,618 ათასი ლარი). ამ თანხიდან 36,628 ათასი ლარი წარმოადგენს 2015 წელს შპს ნიკორა ტრეიდის მიერ ნუგეშის 100%-ის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულებას.

შპს ნუგეშის შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს, რომ გუდვილის ღირებულება განისაზღვროს როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის შეძენის თარიღისათვის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები შპს ნუგეშის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე შეძენის თარიღისათვის, შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირება აღიარებული გუდვილისა და შეძენილი კომპანიის ძირითადი

საშუალებების, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის თანხების გადანაწილების კუთხით შეძენის თარიღისათვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს ჩვენი პირობითი მოსაზრებისთვის.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. აუდიტის ძირითადი საკითხები შერჩეულია იმ საკითხებიდან რაც განხილული იყო მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა არ მოიცავს ყველა საკითხს, რაც მათთან იქნა განხილული. ჩვენი ანგარიშის “პირობითი მოსაზრების საფუძვლების” აბზაცში განხილულ საკითხებთან დამატებით, აუდიტის ძირითად საკითხებად ჩავთვალოთ აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები დაგვეგმილილ იყო მთლიანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ქვემოთ ჩამოთვლილი არცერთი ძირითადი საკითხის გამო და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას რომელიმე ამ ინდივიდუალურ საკითხზე.

მარაგების შეფასება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ფლობდა 73,800 ათასი ლარის (2018: 57,876 ათასი ლარის) მარაგებს. ჯგუფის მთლიან აქტივებში მარაგების ნაშთის წილის მოცულობის გამო და ქვემოთ აღწერილი შეფასებებისა და მსჯელობების გამო მარაგების შეფასება აუდიტის პროცესში მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვდა.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების # 3.7 შენიშვნაშია აღნიშნული მარაგები წარდგენილია “FIFO” მეთოდით აღრიცხულ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება ყოველი წლის ბოლოს გადაიხედება და, თუკი სავარაუდოა, რომ მარაგები მათ თვითღირებულებაზე დაბალი ფასით გაიყიდება, ხდება მარაგების ღირებულების დაწევა.

იმის განსაზღვრა, მარაგები თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაიყიდება თუ არა ხელმძღვანელობისაგან მსჯელობასა და დაშვებების გამოყენებას მოითხოვს. ხელმძღვანელობა მარაგების ღირებულების შემცირების დონის განსაზღვრად შემდეგ პროცედურებს იყენებს:

- განიხილავს მარაგების ხანდაზმულობის ანგარიშებს და ისტორიულ ტრენდებს რომ შეაფასოს ნელა მოძრავი და ძველი მარაგების გაყიდვადობა;
- განიხილავს მარაგების დეტალურ სიას, რომ დარწმუნდეს, რომ მარაგები თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

უმცირესიტაა წარდგენილი და თუ საჭიროა ხდება მარაგების ღირებულების შემცირება და ხარჯის აღიარება;

მარაგების შეფასების სისწორეში დასარწმუნებლად ჩვენ შემდეგი პროცედურები ჩავატრეთ:

- გადავითვალეთ მარაგების თვითღირებულება FIFO მეთოდით და ჩვენი გათვლები შევადარეთ ჯგუფის ანგარიშში ასახული მარაგების ნაშთის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- შერჩევის საფუძველზე გადავამოწმეთ ზოგიერთი მარაგის წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გაყიდვების ახალი მონაცემების გამოყენებით;
- მარაგების კატეგორიების შერჩეული ნაწილისათვის გადავხედეთ ბალანსის თარიღის შემდგომ მოგების მარჟებს;
- გადავამოწმეთ, რომ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მარაგების ხანდაზმულობის რეპორტები სწორად ასახავს მარაგების ვადიანობას. ამისთვის მარაგების შერჩეული ნაწილის ხანდაზმულობა, რაც რეპორტებში ისახებოდა შევადარეთ მათი შემენის ბოლო ინვოისებს.

მიწისა და შენობების გადაფასება

ჯგუფის მიწისა და შენობების წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 55,552 ათას ლარს შეადგენდა (2018: 46,394 ათასი). ჯგუფის მთლიან აქტივებში მიწისა და შენობების ნაშთის წილის მოცულობის გამო და ქვემოთ აღწერილი შეფასებებისა და მსჯელობების გამო მიწისა და შენობების შეფასება აუდიტის პროცესში მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვდა.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 3.3 შენიშვნაშია აღნიშნული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც მათ რეალურ ღირებულებას წარმოადგენს შეფასების თარიღისათვის. შეფასება ჯგუფისაგან დამოუკიდებელი სერთიფიცირებული შემფასებლის მიერ არის ჩატარებული. შეფასების დეტალები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაშია წარდგენილი.

ჩვენ ჩავატრეთ შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

- შევადარეთ ჯგუფის მიერ მოწვეული შემფასებლის ობიექტურობა, კომპეტენცია და დამოუკიდებლობა;
- შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასების ანგარიშის გადახედვით მოვიპოვეთ ცოდნა შემფასებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ, განვიხილეთ ჩატარებული სამუშაოების ბუნება, მასშტაბი და მიზანი;
- შემფასებლის მიერ გამოყენებული ძირითადი შემავალი მონაცემები შევადარეთ საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას და/ან ისტორიულ მონაცემებს;
- განვიხილეთ გადაფასების შედეგების აღრიცხვის სააღრიცხვო მიდგომები;
- გადავხედეთ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით ინფორმაციას და შევადარეთ ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაფერისი სტანდარტების მოთხოვნებს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაცხადებთ არაფერს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან

მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული

განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.
- მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძლელა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე, და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან, ჩვენ გამოვეყოფთ საკითხებს, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და ამდენად, ეს საკითხები წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან, განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გამჟღავნების უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ქეთევან ღამბაშიძე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული
აუდიტორი

22 ივლისი 2020

www.grantthornton.ge

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
გუდვილი	4	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	5	126,834	108,803
აქტივების გამოყენების უფლება	6	92,885	-
არამატერიალური აქტივები	7	2,428	2,909
მსხმოიარე ნარგავები	8	516	396
გაცემული სესხები		-	144
სხვა ფინანსური აქტივები		16	14
		<u>266,297</u>	<u>155,884</u>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მარაგები	9	73,800	57,876
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	21,315	23,273
სხვა მიმდინარე აქტივები		2,466	1,495
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		-	182
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	11	3,620	3,175
		<u>101,201</u>	<u>86,001</u>
სულ აქტივები		<u>367,498</u>	<u>241,885</u>

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	12		
სააქციო კაპიტალი		24,444	25,126
გამოსყიდული საკუთარი აქციები		(1,326)	(1,326)
გადაფასების რეზერვი		19,569	12,240
აკუმულირებული მოგება		24,231	24,079
		66,918	60,119
არამაკონტროლებელი წილი		5,898	4,053
სულ კაპიტალი		72,816	64,172
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	13	18,130	20,434
ობლიგაციები	14	52,754	25,000
საიჯარო ვალდებულებები	15	86,756	-
		157,640	45,434
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	87,999	83,112
სესხები	13	29,045	22,209
ობლიგაციები	14	1,302	26,857
საიჯარო ვალდებულებები	15	18,251	-
სახელშეკრულებო ვალდებულება		195	101
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		250	-
		137,042	132,279
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		367,498	241,885

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 22 ივლისს.

ირაკლი ბოქოლიშვილი

ირაკლი გეჯაძე

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	12		
სააქციო კაპიტალი		24,444	25,126
გამოსყიდული საკუთარი აქციები		(1,326)	(1,326)
გადაფასების რეზერვი		19,569	12,240
აკუმულირებული მოგება		24,231	24,079
		66,918	60,119
არამაკონტროლებელი წილი		5,898	4,053
სულ კაპიტალი		72,816	64,172
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	13	18,130	20,434
ობლიგაციები	14	52,754	25,000
საიჯარო ვალდებულებები	15	86,756	-
		157,640	45,434
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	87,999	83,112
სესხები	13	29,045	22,209
ობლიგაციები	14	1,302	26,857
საიჯარო ვალდებულებები	15	18,251	-
სახელშეკრულებო ვალდებულება		195	101
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		250	-
		137,042	132,279
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		367,498	241,885

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 22 ივლისს.

ირაკლი ბოქოლიშვილი

გენერალური დირექტორი

ირაკლი გუჯაძე

ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	17	540,537	417,852
რეალიზაციის თვითღირებულება	18	(373,118)	(289,528)
საერთო მოგება		167,419	128,324
სხვა შემოსავალი		2,493	986
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	19	(74,365)	(59,147)
ადმინისტრაციული ხარჯები	20	(64,898)	(46,305)
სხვა ხარჯები		(1,701)	(539)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		28,948	23,319
ფინანსური ხარჯები	21	(19,712)	(8,525)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	22	(11,217)	(2,883)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,637)	(3,357)
ზარალი დაბეგვრამდე		(5,618)	8,554
მოგების გადასახადის (ხარჯი)/აღდგენა		(2,667)	(1,568)
წლის მოგება		(8,285)	6,986
სხვა გაერთიანებული შემოსავალი			
ძირითადი საშუალების გადაფასება		7,768	-
წლის სხვა გაერთიანებული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარდა		7,768	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი		(517)	6,986
მოგება მიკუთვნებული:			
- მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		(6,333)	6,684
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(1,952)	302
- მთლიანი შემოსავალი მიკუთვნებული:			
- მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე		792	6,684
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(1,309)	302
- მოგება/(ზარალი) აქციაზე		(1.63)	0.71

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	ჩვეულებრივი აქციები	გამოსყიდული საკუთარი აქციები	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელი წილი	სულ
2018 წლის 1 იანვარი	31,258	(1,294)	12,240	13,982	56,186	2,405	58,591
წლის მოგება	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
შვილობილში წილის რეალიზაცია	-	-	-	8,496	8,496	1,304	9,800
სს ნიკორას მიერ სს ნიკორა ტრეიდის აქციების გაყიდვა მესამე პირზე	-	-	-	549	549	(549)	-
შვილობილის აქციების გამოშვებით მიღებული საემისიო შემოსავალი	-	-	-	869	869	591	1,460
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა (შენიშვნა 12.2)	(6,132)	-	-	-	(6,132)	-	(6,132)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	(32)	-	(889)	(921)	-	(921)
დივიდენდები (შენიშვნა 12.3)	-	-	-	(5,909)	(5,909)	-	(5,909)
ბიზნეს კომბინაციები	-	-	-	297	297	-	297
ტრანზაქციები მფლობელებთან	(6,132)	(32)	-	3,413	(2,751)	1,346	(1,405)
2018 წლის 31 დეკემბერი	25,126	(1,326)	12,240	24,079	60,119	4,053	64,172

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	ჩვეულებრივი აქციები	გამოსყიდული საკუთარი აქციები	გადაფასების რეზერვი	აკუმულირე- ბული მოგება/(ზარა- ლი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონ- ტროლებე ლი წილი	სულ
წლის ზარალი	-	-	-	(6,333)	(6,333)	(1,952)	(8,285)
გადაფასების ნამეტი	-	-	7,125	-	7,125	643	7,768
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	-	7,125	(6,333)	792	(1,309)	(517)
შვილობილში წილის რეალიზაცია	-	-	-	2,957	2,957	1,417	4,374
სს ნიკორას მიერ ნიკორა ტრეიდის აქციების გაყიდვა მესამე პირზე	-	-	-	774	774	(774)	-
შვილობილის აქციების გამოშვე- ბით მიღებული საემისიო შემოსავალი	-	-	-	8,519	8,519	2,715	11,234
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა (შენიშვნა 12.2)	(682)	-	-	-	(682)	-	(682)
დივიდენდები (შენიშვნა 12.3)	-	-	-	(5,749)	(5,749)	-	(5,749)
ბიზნეს კომბინაციები	-	-	204	(16)	188	(204)	(16)
ტრანზაქციები მფლობელებთან	(682)	-	204	6,485	6,007	3,154	9,161
2019 წლის 31 დეკემბერი	24,444	(1,326)	19,569	24,231	66,918	5,898	72,816

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი)		(8,285)	6,986
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5, 6, 7	30,983	10,817
ფინანსური ხარჯები		19,712	8,525
მოგების გადასახადის ხარჯი		2,667	1,568
მარაგების დანაკარგი		12,844	7,984
საექვო მოთხოვნების ხარჯი	10	31	-
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		11,217	2,883
საოპერაციო მოგება საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		69,169	38,763
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		1,952	(9,044)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(28,768)	(20,809)
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში		(971)	91
ცვლილება სხვა ფინანსურ აქტივებში		(2)	6
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		3,577	22,706
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		94	35
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		45,051	31,748
გადახდილი პროცენტი		(17,090)	(8,165)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,235)	(1,750)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		25,726	21,833

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(25,080)	(40,307)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(397)	(883)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		898	1,293
არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული		131	-
გაცემულ სესხებიდან მიღებული ფული		144	(144)
მსხმოიარე წარგავების შეძენა		(31)	70
შვილობილის შესყიდვისთვის გადახდილი ფული		-	(635)
<i>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო აქტივობებში</i>		<i>(24,335)</i>	<i>(40,606)</i>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხებიდან მიღებული ფული	30	269,920	230,384
სესხებზე გადახდილი ფული	30	(267,885)	(229,119)
ობლიგაციებიდან მიღებული ფული	30	27,740	25,000
ობლიგაციებზე გადახდილი ფული	30	(28,791)	(12,540)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული	30	(10,821)	-
შვილობილის წილის გაყიდვიდან მიღებული ფული		15,625	10,349
გადახდილი დივიდენდები		(5,749)	(5,909)
ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა		-	(32)
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა		(682)	(6,132)
<i>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</i>		<i>(643)</i>	<i>12,001</i>
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულადი ნაკადებისა და ფულის საბანკო ანგარიშებზე		748	(6,772)
უცხოური ვალუტის გავლენა ფულზე		(303)	(787)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	11	3,175	10,734
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	11	3,620	3,175

თანდართული შენიშვნები 16-62 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს ნიკორა თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად („ჯგუფი“) არის წამყვანი საკვებ პროდუქტების მწარმოებელი და საცალო გამყიდველი ქართულ ბაზარზე. სს ნიკორა, ჯგუფის მშობელი კომპანია 1998 წელს დაფუძნდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მის თავდაპირველ ბიზნეს საქმიანობას ხორც-პროდუქტების წარმოება წარმოადგენდა. კომპანიამ მალევე მოიპოვა მყარი საბაზრო პოზიცია და დააფუძნა რამოდენიმე საწარმო გაყიდვების, დისტრიბუციისა და საკვების წარმოების ინდუსტრიებში.

ჯგუფი აწარმოებს 500-მდე სახეობის პროდუქტს.

სს ნიკორას რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, მ. ქავთარაძის ქუჩა 11.

საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა 2019 წელს შეადგენს 6,327 (2018: 5,058 თანამშრომელი).

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ ჯგუფი ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2019 წელს ჯგუფმა მიიღო ახალი სახელმძღვანელო იჯარის აღიარების შესახებ (იხ. შენიშვნა 2.5) ახალი სტანდარტი გამოყენებულია რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თანახმადაც, აკუმულირებული ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებულია, როგორც კორექტირება აკუმულირებულ შედეგებზე. შესაბამისად, ჯგუფს არ აქვს ვალდებულება წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის სამი წლის შესადარისი ანგარიში.

გარდა ამისა, ჯგუფმა მიიღო ახალი სახელმძღვანელო მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების აღრიცხვის შესახებ, იმ გარემოებებში, როდესაც არსებობს მოგების გადასახადთან დაკავშირებული გაურკვევლობა (იხ. შენიშვნა 2.5). ჯგუფმა გადაწყვიტა არ გადაეანგარიშებინა წინა პერიოდები. ფასიკ 23-ის გამოყენებით მიღებული სხვაობები ასახულია გაუნაწილებელ მოგებაში.

2.2 შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი დისკონტირებული ღირებულებით და ძირითადი საშუალებების (მიწისა და შენობების) ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ასეთი წარდგენა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში, დამრგვალებულია ათასამდე სიზუსტით.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 24-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება აღწერილია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფასს 9-ში: *წინასწარგადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით*

ფასს 9-ის თანახმად სავალდებულო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუკი საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდები“ (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტის მფლობელი, ამ კლასიფიკაციით, შესაბამისი ბიზნეს მოდელია. ცვლილებები ფასს 9-ში განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მხარისა, რომელიც იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ამ ცვლილებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“).

ახალი სტანდარტის მიღებამ ჯგუფში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი საიჯარო ვადა თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

ახალი სტანდარტი გამოყენებულ იქნა რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება, სტანდარტის თავდაპირველი ჯგუფის მიერ წინა პერიოდში წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია არ დაკორექტირებულა.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, ჯგუფმა გადაწყვიტა, გამოყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოყენებინა ფასს 16 იმ გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

ჯგუფმა გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც ჯგუფი ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, ჯგუფმა ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის, ჯგუფი დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტისთვის, იჯარებისთვის, რომლებიც მანამდე აღრიცხული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადითა და დაბალი ღირებულებით, ჯგუფმა გამოიყენა არჩევითი გამოწვევები არ ელიარებინათ აქტივის გამოყენების უფლება, არამედ აღერიცხა ისინი საიჯარო ხარჯად წრფივი მეთოდით, დარჩენილ საიჯარო პერიოდზე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი ფასს 16-ით განსაზღვრულ საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში შეადგენდა 10%-ს.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ჯგუფმა იხელმძღვანელა არსებული ფაქტებით და გარემოებებით.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აისახოს, ბასს 12-ით გათვალისწინებული, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, კერძოდ: (ა) საწარმო მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებულ საგადასახადო მიდგომებს ცალ-ცალკე იხილავს თუ არა; (ბ) რა დაშვებებს აკეთებს საწარმო საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მიდგომების შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით; (გ) როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზას, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და საგადასახადო განაკვეთებს; და (დ) როგორ ითვალისწინებს საწარმო ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017

2015-2017 წლების ყოველწლიურმა განახლებებმა გამოიწვია მცირედი ცვლილებები რამოდენიმე ფასს-ში. ქვევით აღწერილია ის ცვლილებები, რომლებიც რელევანტურია ჯგუფისთვის:

ბასს 12 მოგებიდან გადასახადები: მოგების გადასახადის შედეგები გადახდებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალის ელემენტი

ბასს 12 – ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს, რომ მოგების გადასახადის შედეგები დივიდენდებზე აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან კაპიტალში, იმის მიხედვით, თუ სად აღიარა ჯგუფმა თავდაპირველად ეს წარსულში განხორციელებული ტრანზაქციები ან მომხდარი მოვლენები.

ბასს 23 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები:

კაპიტალიზაციისთვის განსაზღვრული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ბასს 23.14 ადგენს, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციისთვის განსაზღვრული ოდენობა, როცა ჯგუფი იღებს საერთო დანიშნულების სესხს და იყენებს მას განსაკუთრებული აქტივის შესაძენად.

ბასს 23 მოითხოვს, რომ ჯგუფმა საერთო დანიშნულების მქონე სესხის აღებისას, გამოყოს სესხების ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია განსაკუთრებული აქტივის შესაძენად. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დაკვირვებით, კომპანიებმა შესაძლოა ეს სიტყვები გამოიყენონ არასწორი მნიშვნელობით, რომ საერთო მიზნებისთვის ნასესხები სახსრებისგან უნდა გამოიყოს ის გადასახდელი თანხები, რომლებიც თავდაპირველად ნასესხები იყო განსაკუთრებული აქტივის შესაძენად და რომელიც ახლა უკვე მზად არის მის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

ამგვარად, შესწორებები ცხადყოფს, რომ როცა განსაკუთრებული აქტივი უკვე მზად არის მის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად, ჯგუფი განიხილავს თავდაპირველად ამ აქტივის შესაძენად ნასესხები თანხის დარჩენილ ნაწილს იმ სესხის ნაწილად, რომელიც მან აიღო საერთო დანიშნულებით.

ცვლილებები გამყენებულია პერსპექტიულად (ე.ი. მხოლოდ ამ შესწორების ძალაში შესვლის წლიური საანგარიშებო პერიოდის დასაწყისში, ან მის შემდგომ გაწეულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებზე) ვინაიდან, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების რეტროსპექტიულად კაპიტალიზაციის მიზნით ინფორმაციის მოპოვების დანახარჯები, შესაძლოა აღემატებოდეს პოტენციურ სარგებელს.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია ჯგუფს

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და ჯგუფს ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ. ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ იქნა ათვისებული მიმდინარე წელს, არ არის განხილული, ვინაიდან მოსალოდნელი არ არის, რომ მათ ექნებათ არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.6 შვილობილი კომპანიები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
სს ნიკორა ტრეიდი	80.02	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაყიდვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუგეში	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	90.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოკეანე	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს ინტრეიდი	100	საქართველო	19 სექტემბერი, 2007 წელი	დისტრიბუცია	19 სექტემბერი, 2007 წელი
შპს ინტრეიდი-ფოთი	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი
შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ხორცის და ნახევარფაბრიკატების წარმოება	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს კორიდა	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ფერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	პურპროდუქტების წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კულინარი	50	საქართველო	5 ივლისი, 2015 წელი	ნახევარფაბრიკატების წარმოება	5 ივლისი, 2015 წელი
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100	საქართველო	25 ივლისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივლისი, 2009 წელი
შპს ლაზი	67	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი	არააქტიური	4 დეკემბერი, 2014 წელი
შპს აჩინებული 2005	100	საქართველო	4 თებერვალი, 2005 წელი	არააქტიური	4 თებერვალი, 2005 წელი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი	არააქტიური	11 მარტი, 2009 წელი
შპს კასპი	50	საქართველო	9 მარტი, 2010 წელი	არააქტიური	9 მარტი, 2010 წელი
შპს ცუცხვათი	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი	არააქტიური	7 მაისი, 2004 წელი
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო	18 დეკემბერი, 2015 წელი	უძრავი ქონება	18 დეკემბერი, 2015 წელი
შპს მილა საქართველო	50	საქართველო	17 ივლისი 2013	ვაჭრობა	17 ივლისი 2013
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო	13 ივნისი, 2016 წელი	არააქტიური	13 ივნისი, 2016 წელი
კრწანისი 14	100	საქართველო	27 ივლისი, 2018 წელი	არააქტიური	10 აგვისტო, 2018 წელი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
სს ნიკორა ტრეიდი	86.15	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაყიდვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუგეში	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	82.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოკეანე	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს ინტრეიდი	100	საქართველო	19 სექტემბერი, 2007 წელი	დისტრიბუცია	19 სექტემბერი, 2007 წელი
შპს ინტრეიდი-ფოთი	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი
შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ხორცის და ნახევარფაბრიკ ატების წარმოება	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ნიკორა 7	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ფერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	პურპროდუქტე ბის წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კულინარი	50	საქართველო	5 ივლისი, 2015 წელი	ნახევარფაბრიკ ატების წარმოება	5 ივლისი, 2015 წელი
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100	საქართველო	25 ივლისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივლისი, 2009 წელი
შპს ლაზი	67	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი	საცალო გაყიდვა	4 დეკემბერი, 2014 წელი
შპს აჩინებული 2005	100	საქართველო	4 თებერვალი, 2005 წელი	არააქტიური	4 თებერვალი, 2005 წელი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი	სოფლის მეურნეობა	11 მარტი, 2009 წელი
შპს კასპი	50	საქართველო	9 მარტი, 2010 წელი	არააქტიური	9 მარტი, 2010 წელი
შპს ცუცხვათი	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი	არააქტიური	7 მაისი, 2004 წელი
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო	18 დეკემბერი, 2015 წელი	უძრავი ქონება	18 დეკემბერი, 2015 წელი
შპს მილა საქართველო	50	საქართველო	17 ივლისი 2013	ვაჭრობა	17 ივლისი 2013
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო	13 ივნისი, 2016 წელი	ინტერნეტ მაღაზია	13 ივნისი, 2016 წელი
კრწანისი 14	100	საქართველო	27 ივლისი, 2018 წელი	არააქტიური	10 აგვისტო, 2018 წელი

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები აერთიანებს მშობელ კომპანიასა და მის ყველა შვილობილს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ყველა შვილობილი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღი 31 დეკემბერია.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, საწარმოთა გაერთიანებისას, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი ღირებულება აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, აღიარდება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე, შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, სხვაობის აღიარება ხდება პირდაპირ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელის წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოადგენილია კაპიტალის მუხლებში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ

ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.2095 ლარს. (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი და ერთი ევრო 3.0701 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალით. ღირებულება მოიცავს

პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითად საშუალებებში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობები	- 30 წელი
მანქანები და მძიმე ტექნიკა	- 5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	- 5 წელი
ტრანსპორტი	- 5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 7-10 წელი
სხვა	- 5 წელი

ვინაიდან მიწის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

3.4 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილის გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული პროცედურების სანახავად იხილეთ შენიშვნა 4.

3.5 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

3.6 იჯარა

როგორც აღწერილია შენიშვნა 2.5-ში, ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16-ის მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულა. რაც გულისხმობს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ, ჯგუფი განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიშარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, ჯგუფი აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება ჯგუფისთვის.
- აქვს თუ არა ჯგუფს ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა ჯგუფს იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მისი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, ჯგუფის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

ჯგუფი, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც

მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებაც წარმოდგენილია ცალკე.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა ჯგუფზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახადები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსასაზღვრი ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივების ცვეთის მეთოდებისა და სასარგებლო მომსახურების ვადების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 3.33.3.

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ ჯგუფი მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

3.7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.8 მსხმოიარე ნარგავები

მსხმოიარე ნარგავი არის მცენარე, რომელიც

- (ა) გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად;
- (ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწვევს ნაყოფს; და
- (გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.

მსხმოიარე ნარგავები, ბასს 16-ის მიხედვით, შემდეგნაირად აღირიცხება:

- თვითღირებულების მოდელით, ან
- გადაფასების მოდელით

კომპანიამ აირჩია გადაფასების მოდელი თავის სააღრიცხვო პოლიტიკად და გამოიყენა იგი მსხმოიარე ნარგავების მთლიანი კლასისათვის.

გადაფასების მოდელი

აქტივად აღიარების შემდეგ, მსხმოიარე ნარგავები, რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია, უნდა აისახოს გადაფასებული ღირებულებით, ასევე რომელიც იქნება მისი რეალური ღირებულება გადაფასების თარიღისთვის, რომელსაც გამოაკლდება ყველა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. გადაფასებები უნდა შესრულდეს საკმარისი სიხშირით, იმაში დასარწმუნებლად, რომ საბალანსო ღირებულება მატერიალურად არ განსხვავდება იმ ოდენობისგან, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულების გამოყენების შემთხვევაში.

თუკი მსხმოიარე ნარგავთა საბალანსო ღირებულება გაიზრდება გადაფასების შედეგად, ნამეტი უნდა აისახოს სხვა სრულ შემოსავალში და დაგროვდეს კაპიტალში გადაფასების ნამეტის მუხლში. თუმცა ნამეტი შეიძლება აღიარდეს მოგება-ზარალშიც, იმ შემთხვევაში თუკი წინა პერიოდების მოგება-ზარალში აღრიცხული იყო ამავე აქტივზე გადაფასების შემცირება.

თუკი გადაფასების შედეგად, მსხმოიარე ნარგავების საბალანსო ღირებულება შემცირდა, შემცირება შეიძლება აღიარდეს მოგება-ზარალში, თუმცა იგი ასევე შეიძლება სხვა სრულ შემოსავალშიც აისახოს, იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს გადაფასების ნამეტის

კრედიტული ნაშთი ამ აქტივთან მიმართებაში. კლება, რომელიც აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ამცირებს კაპიტალში, გადაფასების ნამეტის მუხლში დაგროვილ თანხის ოდენობას.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში ჯგუფს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ჯგუფის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 25.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხასა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ობლიგაციები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "შეგროვების" ან "შეგროვების და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

კატეგორია ასევე შეიცავს ინვესტიციას კაპიტალში. ჯგუფი აღრიცხავს ინვესტიციას სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და არ აკეთებს შეუქცევად არჩევანს ინვესტიციებისა და სააქციო კაპიტალის რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ინვესტიცია კაპიტალში შეფასებული იყო თვითღირებულებით, რომელიც შემცირებული იყო გაუფასურების ოდენობით შესაფერის პერიოდში ბასს 39-ის მიხედვით, ვინაიდან გაირკვა, რომ ვერ მოხდებოდა მისი სამართლიანი ღირებულების საიმედო შეფასება. მიმდინარე ფინანსურ წელს, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფასს 9-ის მოთხოვნების მიხედვით, რომელიც არ იძლეოდა ინვესტიციის თვითღირებულებით შეფასების უფლებას.

ამ კატეგორიაში, აქტივები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით შემოსავლებთან და დანაკარგებთან ერთად, რომლებიც ხვდებიან მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებები, ამ კატეგორიაში, განსაზღვრულია აქტიური ბაზრის მონაცემებით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, როცა აქტიური ბაზარი არ არსებობს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებენ უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რეზერვები აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ

საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცდილების მიხედვით. დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში იხილეთ შენიშვნა 10.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 25.2-ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის

ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომლებისთვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოდგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც ხელმძღვანელობა ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომლიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა

განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.11 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

3.12 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს აქციების გამოშვებისას აქციის ნომინალურ ღირებულებაზე ზემოთ გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხებს. აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯები საგადასახადო სარგებლის გამოკლებით გამოიქვითება საემისიო კაპიტალიდან.

სააქციო კაპიტალი მოიცავს არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ აქციებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღირიცხება ვალდებულებად.

სახაზინო აქციები მოიცავს საკუთარ შემენილ ჩვეულებრივ აქციებს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწის, შენობებისა და მსხმოიარე ნარგავების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას ან ზარალს.

აკუმულირებული მოგება/(ზარალი) მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებებს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის მფლობელებთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მფლობელების რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.13 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

3.14 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში

გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.15 საანგარიშგებო სეგმენტები

ჯგუფი იმართება როგორც ერთიანი ბიზნესი, ამიტომ ჯგუფი არ გამოყოფს მის შიგნით ცალკე სეგმენტებს, როგორც ამას ფასს 8 განსაზღვრავს. მმართველი ხელმძღვანელობა აანალიზებს საოპერაციო საქმიანობას, ფინანსურ შედეგებს, პროგნოზებს და გეგმებს მთელი ჯგუფისთვის ერთობლივად, ნაცვლად ჯგუფის ბიზნესის ცალკეული სეგმენტებისთვის. აქედან გამომდინარე მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გამოიყოფა ცალკე წარსადგენი სეგმენტები და შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

3.16 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) არაფულად გასამრჯელოებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად ჯგუფს აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების

გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.17 შემოსავლის აღიარება

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ ჯგუფი დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, იგი აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ახორციელებს ერთგული მომხმარებლის წამახალისებელ პროგრამას. ნიკორას სუპერტმარკეტების მომხმარებლებს სთავაზობენ ე.წ. “ბონუს ბარათებს”. ნიკორას სუპერტმარკეტში დახარჯულ ყოველ 10 ლარზე ბარათის მფლობელებს საშუალება აქვთ დააგროვონ 10 ბონუს ქულა. 100 ბონუს ქულა შეესაბამება 1 ლარს, რომლითაც ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერტმარკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები წარმოადგენს ვალდებულებას ჯგუფისთვის, რადგან ისინი მომხმარებლებს იმ უფლებით უზრუნველყოფენ, რაც მათ მანამდე არ ჰქონდათ. გამოუყენებელი ქულები 2 წლის განმავლობაში მათი არააქტიურობის საფუძველზე უქმდება. ტრანზაქციასთან დაკავშირებული გასაყიდი ფასი იყოფა უფლებად და ვალდებულებად, კონტრაქტში დაფიქსირებული ცალკეული გასაყიდი ფასის საფუძველზე. შემოსავალი აღნიშნული უფლებიდან აღიარდება ბონუს ქულების განაღდებისა და მათი მოქმედების ვადას შორის ადრეული თარიღით.

4. გუდვილი

გუდვილის წმინდა საბალანსო ღირებულებაში მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
<i>მოლოანი საბალანსო ღირებულება</i>		
ნაშთი წლის დასაწყისში	43,618	43,618
ნაშთი წლის ბოლოს	43,618	43,618
<i>აკუმულირებული გაუფასურება</i>		
ნაშთი წლის ბოლოს	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	43,618	43,618

გაუფასურების ტესტი

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია მენეჯმენტის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება შეადგენს 52,678 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 51,596 ათასი ლარი).

აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

ზრდის განაკვეთი

ზრდის განაკვეთი ასახავს გრძელვადიან საშუალო ზრდის განაკვეთს პროდუქციის ხაზისთვის და ჯგუფის საქმიანობის სფეროსთვის. ზრდის საშუალო წლიური განაკვეთი არის 4% (2018 წლის 31 დეკემბერი: 4%).

დისკონტირების განაკვეთი

დისკონტირების განაკვეთი ითვალისწინებს საბაზრო რისკისა და ჯგუფისთვის დამახასიათებელ სპეციფიკური რისკების შესაბამის კორექტირებებს. დისკონტირების განაკვეთი არის 12.54% (2018 წლის 31 დეკემბერი: 17.81%).

ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული დაშვებები

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების გამოცდილებაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომაა პროგნოზების გასაკეთებლად. ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების მარჟას, რომელიც მიღწეულია უშუალოდ ბიუჯეტირებამდე. არანაირი მოსალოდნელი ეფექტურობის გაუმჯობესება არ არის აღრიცხული და ფასები და ხელფასები ასახავს საჯაროდ ხელმისაწვდომ საპროგნოზო ინფორმაციას დარგში ინფლაციის განაკვეთის შესახებ, რომელშიც ჯგუფი ოპერირებს.

ზემოხსენებული აქტივის გამოყენების ღირებულების განსაზღვრის გარდა, ხელმძღვანელობა არცერთ ძირითად შეფასებაში მნიშვნელოვან ცვლილებას არ მოელოდა. აქტივის აღდგენადი ღირებულება ნაწილობრივ მგძნობიარეა დისკონტირების განაკვეთის ცვლილებაზე. თუ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი 1%-ით გაიზარდება, მაშინ გუდვილის აღდგენადი ღირებულება იქნება 47,265 ათასი ლარი.

5. ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილო ბები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორ- ტო საშუალებები	დაუმთავრე- ბელი წარმოება	სხვა	სულ
გადაფასებული ღირებულება									
2018 წლის 1 იანვარი	9,896	28,798	47,431	14,693	6,873	6,272	765	1,260	115,988
შემოსვლა	533	8,074	20,020	6,920	4,578	1,636	2,592	121	44,474
გასვლა	-	-	(1,583)	(461)	(112)	(368)	(53)	(227)	(2,804)
შიდა მოძრაობა	-	-	2,113	115	119	-	(2,347)	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	10,429	36,872	67,981	21,267	11,458	7,540	957	1,154	157,658
შემოსვლა	690	746	11,254	4,112	4,053	2,064	1,916	129	24,964
გასვლა	-	-	(3,215)	(675)	(354)	(496)	(197)	(21)	(4,958)
შიდა მოძრაობა	-	1,120	522	96	-	-	(1,738)	-	-
გადაფასების ნამეტი	3,362	2,333	-	-	-	-	-	-	5,695
2019 წლის 31 დეკემბერი	14,481	41,071	76,542	24,800	15,157	9,108	938	1,262	183,359
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება									
2018 წლის 1 იანვარი	-	-	29,016	6,134	1,500	3,260	-	611	40,521
წლის ცვეთა	-	907	5,359	2,012	1,081	739	-	29	10,127
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	(1,064)	(338)	(35)	(290)	-	(66)	(1,793)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	907	33,311	7,808	2,546	3,709	-	574	48,855
წლის ცვეთა	-	1,077	7,551	2,689	1,397	972	-	28	13,714
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	(3,005)	(621)	(105)	(320)	-	(9)	(4,060)
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	(1,984)	-	-	-	-	-	-	(1,984)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	37,857	9,876	3,838	4,361	-	593	56,525
საბალანსო ღირებულება									
2018 წლის 31 დეკემბერი	10,429	35,965	34,670	13,459	8,912	3,831	957	580	108,803
2019 წლის 31 დეკემბერი	14,481	41,071	38,685	14,924	11,319	4,747	938	669	126,834

ჯგუფის 86,286 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის გამოყენებულია სესხების უზრუნველყოფისთვის. (2018: 98,881 ათასი ლარი). (იხ. შენიშვნა 13).

მიწა და შენობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულება წარმოადგენს დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ განსაზღვრულ რეალურ ღირებულებას, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო ფაქტორები მიანიშნებენ მნიშვნელოვან ცვლილებებზე რეალურ ღირებულებაში. ჯგუფის მიწა და შენობები ბოლოს შეფასებული იყო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ. შეფასება მოხდა გასაყიდი შესაძარის ფასების, თვითღირებულებით და შემოსავლების კაპიტალიზაციის მიდგომებით.

მიწა და შენობები წარმოდგენილი რომ ყოფილიყო ისტორიული ღირებულებით, მათი საბალანსო ღირებულება ანგარიშგების თარიღისთვის იქნებოდა 9,270 ათასი ლარი და 34,207 ათასი ლარი, შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი დაირიცხა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (იხ. შენიშვნა 18)	2,773	1,970
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები (იხ. შენიშვნა 19)	6,725	4,887
ადმინისტრაციული ხარჯები (იხ. შენიშვნა 20)	4,216	3,270
	<u>13,714</u>	<u>10,127</u>

6. აქტივების გამოყენების უფლება

ათასი ლარი	შენობები	სულ
<i>თვითღირებულება</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
ფასს 16-ზე გადასვლის კორექტირება	87,142	87,142
შემოსვლა	22,265	22,265
2019 წლის 31 დეკემბერი	<u>109,407</u>	<u>109,408</u>
<i>დაგროვილი ცვეთა</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
წლის ცვეთა	16,522	16,522
2019 წლის 31 დეკემბერი	<u>16,522</u>	<u>16,522</u>
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	<u>92,885</u>	<u>92,885</u>

ცვეთის ხარჯის დარიცხვა მოხდა შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (იხ. შენიშვნა 18)	316	-
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები (იხ. შენიშვნა 19)	15,800	-
ადმინისტრაციული ხარჯები (იხ. შენიშვნა 20)	406	-
	<u>16,522</u>	<u>-</u>

იჯარით აღებული აქტივები მოიცავს მაღაზიებს 5-10 წლამდე საიჯარო ვადით.

7. არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	კომპიუტერული პროგრამები	უფლებები	სხვა	სულ
<i>თვითღირებულება</i>				
2018 წლის 1 იანვარი	2,474	1,483	239	4,196
შემოსვლა	517	40	326	883
გასვლა	(34)	(45)	(239)	(318)
2018 წლის 31 დეკემბერი	<u>2,957</u>	<u>1,478</u>	<u>326</u>	<u>4,761</u>
შემოსვლა	160	219	18	397
გასვლა	(130)	-	(85)	(215)
2019 წლის 31 დეკემბერი	<u>2,987</u>	<u>1,697</u>	<u>259</u>	<u>4,943</u>
<i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>				
2018 წლის 1 იანვარი	739	481	46	1,266
წლის ამორტიზაცია	258	305	59	622
გასვლის შედეგად კორექტირება	(1)	(35)	-	(36)
2018 წლის 31 დეკემბერი	<u>996</u>	<u>751</u>	<u>105</u>	<u>1,852</u>
წლის ამორტიზაცია	295	447	5	747
გასვლის შედეგად კორექტირება	(84)	-	-	(84)
2019 წლის 31 დეკემბერი	<u>1,207</u>	<u>1,198</u>	<u>110</u>	<u>2,515</u>
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
2018 წლის 31 დეკემბერი	<u>1,961</u>	<u>727</u>	<u>221</u>	<u>2,909</u>
2019 წლის 31 დეკემბერი	<u>1,780</u>	<u>499</u>	<u>149</u>	<u>2,428</u>

ამორტიზაციის ხარჯი ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხ. შენიშვნა 20).

8. მსხმოიარე ნარგავები

მსხმოიარე ნარგავები წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულება წარმოადგენს რეალურ ღირებულებას, რომელიც დადგენილია გარე პროფესიონალი შემფასებლების შეფასების საფუძველზე ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო პირობები მნიშვნელოვანი რეალური ღირებულების მატერიალურ ცვლილებებზე. ჯგუფის მსხმოიარე ნარგავები, ბოლოს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასდა. შეფასებები ჩატარდა გაყიდვების შედარების, თვითღირებულებისა და შემოსავლების კაპიტალიზაციის მიდგომებით. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, 89 ათასი ლარის გადაფასების ნამეტი აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდა კაპიტალში გადაფასების ნამეტის მუხლში.

9. მარაგები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	52,947	33,314
მზა პროდუქცია	7,176	13,337
ნედლეული	8,758	6,479
დაუმთავრებელი წარმოება	2,272	2,183
გასაყიდად გამიზნული ბინები	56	400
სხვა	3,893	2,603
მარაგის დანაკარგების რეზერვი	(1,302)	(440)
	<u>73,800</u>	<u>57,876</u>

მარაგები გამოყენებულია ვალდებულების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 13)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	21,032	22,442
სხვა მოთხოვნები	314	831
	<u>21,346</u>	<u>23,273</u>
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(31)	-
	<u>21,315</u>	<u>23,273</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

მოთხოვნების დაფარვის ვადა შეადგენს 30-90 დღეს (2018: 30-90 დღე). სავაჭრო მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში შეფასებულ იქნა გაუფასურებაზე. გაუფასურებულ სავაჭრო მოთხოვნებს ძირითადად წარმოადგენს

მომხმარებლები, რომლებსაც საბაზრო პირობებში წარმოექმნათ ფინანსური სირთულეები.
მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 26 ა)-ში.

11. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიშები	2,495	1,332
ფული ხელზე	1,125	1,843
	<u>3,620</u>	<u>3,175</u>

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 26 ა)-ში.

12. კაპიტალი და რეზერვები

12.1 სააქციო კაპიტალი

აქციონერები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდენილია ცხრილში:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლება %	კაპიტალი ლარში
სუბიაშვილი ვასილი	1,876,471	ჩვეულებრივი	7.68	29.00	1,876,471
სს ნიკორა	1,326,471	ჩვეულებრივი	5.43	20.50	1,326,471
გუბანოვი ოლეგი	1,035,293	ჩვეულებრივი	4.24	16.00	1,035,293
დუმბაძე დავითი	711,765	ჩვეულებრივი	2.91	11.00	711,765
ცირეკიძე თალიკო	582,353	ჩვეულებრივი	2.38	9.00	582,353
სალუქვაძე მაკა	420,588	ჩვეულებრივი	1.72	6.50	420,588
ცერცვაძე გურამი	323,529	ჩვეულებრივი	1.32	5.00	323,529
ნიკოლაიშვილი ირაკლი	194,118	ჩვეულებრივი	0.79	3.00	194,118
გალტ & თაგარტ	40	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	20.02	0.00	4,893,565
Pelican ventures Corp	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	11.01	0.00	2,692,200
შპს პარკ კაპიტალი	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	8.31	0.00	2,031,600
შპს აგროვინი	8	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.93	0.00	960,800
ანჩაბიძე ალექსი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.42	0.00	836,325
გაჩეჩილაძე დავითი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.42	0.00	836,325
გოჯიაშვილი ზურაბი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.42	0.00	836,325
ვაჩნაძე გიორგი	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.09	0.00	512,025
მაზიაშვილი არჩილი	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.04	0.00	498,060
ამბროლაძე მურმანი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.36	0.00	332,040

ბოქოლიშვილი ირაკლი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.84	0.00	450,420
დუმბაძე დავითი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.35	0.00	331,100
ემუხვარი თამარი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.88	0.00	458,640
ფიჩხაია თამარი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.98	0.00	485,025
ცერცვაძე გურამი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.84	0.00	450,420
ცერცვაძე ეკა	3	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.42	0.00	347,865
სუხიაშვილი ვასილი	2	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.98	0.00	238,760
ცაავა დავითი	2	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.92	0.00	225,210
გვაზავა ოთარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.49	0.00	119,380
კიკნაძე ნოდარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.51	0.00	124,515
ნარეშელაშვილი ირაკლი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.48	0.00	117,405
ნიკოლაიშვილი ირაკლი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.46	0.00	112,605
ჯანჯღავა ივანე	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.34	0.00	83,190
სს ნიკორა	14	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.00	-	-
	6,470,759		100%	100%	24,444,388

აქციონერები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდენილია ცხრილში:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/ არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლება %	კაპიტალი ლარში
სუხიაშვილი ვასილი	1,876,471	ჩვეულებრივი	7.47	29.00	1,876,471
სს ნიკორა	1,326,471	ჩვეულებრივი	5.28	20.50	1,326,471
გუბანოვი ოლეგი	1,035,293	ჩვეულებრივი	4.12	16.00	1,035,293
დუმბაძე დავითი	711,765	ჩვეულებრივი	2.83	11.00	711,765
ცირეკიძე თალიკო	582,353	ჩვეულებრივი	2.32	9.00	582,353
სალუქვაძე მაკა	420,588	ჩვეულებრივი	1.67	6.50	420,588
ცერცვაძე გურამი	323,529	ჩვეულებრივი	1.29	5.00	323,529
ნიკოლაიშვილი ირაკლი	194,118	ჩვეულებრივი	0.77	3.00	194,118
გალტ & თაგარტ	40	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	19.48	-	4,893,565
Pelican ventures Corp	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	10.71	-	2,692,200
შპს პარკ კაპიტალი	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	8.09	-	2,031,600
შპს მაგთივინი	8	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.82	-	960,800
ანჩაბიძე ალექსი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.33	-	836,325

გაჩეილამე დავითი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.33	-	836,325
გოჯიაშვილი ზურაბი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.33	-	836,325
ვაჩნამე გიორგი	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.04	-	512,025
მაზიაშვილი არჩილი	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.98	-	498,060
ჯოხაძე გოჩა	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.71	-	681,960
ამბროლაძე მურმანი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.32	-	332,040
ბოქოლიშვილი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.79	-	450,420
ირაკლი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.32	-	331,100
დუმბაძე დავითი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.83	-	458,640
ემუხვარი თამარი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.93	-	485,025
ლომაია ირაკლი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.79	-	450,420
ცერცვაძე გურამი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.38	-	347,865
ცერცვაძე ეკა	3	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.95	-	238,760
სუხიაშვილი ვასილი	2	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.90	-	225,210
ცაავა დავითი	2	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.48	-	119,380
გვაზავა ოთარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.50	-	124,515
კიკნაძე ნოდარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.47	-	117,405
ნარეშელაშვილი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.45	-	112,605
ირაკლი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.33	-	83,190
ნიკოლაიშვილი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	-	-	-
ირაკლი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	-	-	-
ჯანჯღავა ივანე	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	-	-	-
სს ნიკორა	36	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	-	-	-
			6,470,787	100	100 25,126,348

ჯგუფის სათაო კომპანიის, სს ნიკორას, სააქციო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 171 ცალ პრივილეგირებულ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, სულ სააქციო კაპიტალი შეადგენს 24,444 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 25,126 ათასი ლარი).

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

12.2 გამოსყიდული საკუთარი აქციები

2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს გამოსყიდული აქვს 1,326 საკუთარი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 1,326 ათასი ლარი. საკუთარი აქციების გამოსყიდვის დროს გადახდილ თანხასა და ნომინალურ ღირებულებას შორის არსებული სხვაობა აღირიცხა იმ პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც აქციები გამოსყიდულ იქნა.

12.3 დივიდენდები

2019 წელს, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელებზე გამოცხადდა 5,749 ათასი ლარის დივიდენდი. 2018 წელს გამოცხადებული დივიდენდების ოდენობა იყო 5,909 ათასი ლარი.

12.4 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიშვა მიწის, შენობებისა და მსხმოიარე ნარგავების გადაფასების შედეგად. მათი ბოლო გადაფასება განხორციელდა 2019 წლის 31 დეკემბრისთვის.

13. სესხები

ათასი ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საბანკო სესხები	29,045	22,209	18,130	20,434
	29,045	22,209	18,130	20,434

საბანკო სესხები არის 1-დან 5 წლამდე ვადიანობის და აქვთ საშუალო წლიური შეწონილი 11.7% განაკვეთი, რომელთა ნაწილიც ფიქსირებულია, ნაწილი კი მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთსა და 6 თვიან EURIBOR-ის განაკვეთებზე. (2018: წლიური 10.3%-იანი მცოცავი განაკვეთი).

საბანკო სესხები აღებულია ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით.

სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის სასაქონლო მატერიალური მარაგებითა და ძირითადი საშუალებებით. (იხილეთ შენიშვნა 5 და 9)

საბანკო სესხების რეალური ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

საპროცენტო და უცხოური ვალუტის რისკების გავლენა ჯგუფზე იხილეთ შენიშვნა 26-ში.

14. ობლიგაციები

2019 წლის 28 ივნისს, სს ნიკორამ დააკმაყოფილა ვალდებულებები ჯგუფის ობლიგაციების მფლობელების მიმართ 30,045 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის 18 ოქტომბერს, საბროკერო კომპანია შპს “თიბისი კაპიტალმა”, როგორც საბროკერო აგენტმა, სს “ნიკორასთვის” გამოუშვა 28 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 4%+3თვის TIBR (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 11.16%) და ვადიანობა შეადგენს 3 წელს. პროცენტის გადახდა წარმოებს კვარტალურად.

2018 წლის 6 აგვისტოს, ქართულმა საბროკერო კომპანია შპს თიბისი კაპიტალმა, როგორც

საბროკერო აგენტმა, გამოუშვა სს ნიკორა ტრეიდისთვის 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 4% + საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი. (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.50%) და 3 წელში ეწურება ვადა. პროცენტის გადახდა წარმოებს კვარტალურად “შეთავაზების მიმოხილვაში” მითითებულ თარიღებში. ქვედა ცხრილი წარადგენს ობლიგაციებზე ფინანსურ ინფორმაციას:

ათასი ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ობლიგაციების ძირი	-	26,696	52,754	25,000
საპროცენტო გადასახდელები	1,302	161	-	-
ობლიგაციებზე	<u>1,302</u>	<u>26,857</u>	<u>52,754</u>	<u>25,000</u>

სს ნიკორას ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებას. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გვაქვს შემდეგი 3 ფინანსური შემზღუდველი პირობა:

- 1) DEBT/EBITDA- კოეფიციენტი არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი 2019 წლის შედეგების მიხედვით.
- 2) ICR- არ უნდა იყოს 2.8-ზე ნაკლები 2019 წლის შედეგების საფუძველზე
- 3) DSCR - კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები 2019 წლის შედეგების საფუძველზე

კოეფიციენტები იანგარიშება სს ნიკორას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯგუფი აკმაყოფილებს ყველა კოეფიციენტს.

ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

საპროცენტო და უცხოური ვალუტის რისკების გავლენა ჯგუფზე იხილეთ შენიშვნა 26 ა)-ში.

15. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	18,251	-
გრძელვადიანი	86,756	-
	<u>105,007</u>	<u>-</u>

ჯგუფს აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორცაა საიჯარო გადასახადელები, დამოკიდებული ჯგუფის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობენ საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში. ჯგუფი ახდენს თავისი აქტივების გამოყენების უფლების

კლასიფიკაციას ძირითადი საშუალებების მსგავსად. (იხ. შენიშვნა 6)

თითოეული იჯარა აწესებს ზოგად შეზღუდვას, რომ თუკი ჯგუფს ხელშეკრულებით არ აქვს აქტივის ქვეიჯარით გაცემის უფლება, აქტივით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ჯგუფს. იჯარა ან არაგაუქმებადია, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში. ზოგიერთი იჯარა შეიცავს იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს ჯგუფის საიჯარო აქტივობების ბუნებას, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების ტიპების მიხედვით.

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	დარჩენილი იჯარის საშუალო ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძელებით ს უფლებით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
შენობები	4	4	4	4	-
მაღაზიები	263	1-10	5	263	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ათასი ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	(27,799)	-
ფინანსური ხარჯები	9,548	-
	(18,251)	-
ორიდან ხუთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	(85,804)	-
ფინანსური ხარჯები	21,717	-
	(64,087)	-
ხუთი წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	(26,417)	-
ფინანსური ხარჯები	3,748	-
	(22,669)	-
წმინდა დღევანდელი ღირებულება	(105,007)	-

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

ჯგუფმა გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარი საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწვევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ათასი ლარი

	2019
მოკლევადიანი იჯარა	529
დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარა	524
იჯარები ცვლადი საიჯარო გადახდებით	2,610
	<u>3,663</u>

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის მოკლევადიანი იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულება შეადგენდა 341 ათას ლარს.

ცვლადი საიჯარო გადახდები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისთანავე.

ცხრილში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ მათი კლასების მიხედვით:

ათასი ლარი

	საბალანსო ღირებულება (იხ. შენიშვნა 6)	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
შენობები	3,091	722	-
მაღაზიები	89,794	15,800	-
მთლიანი აქტივების გამოყენების უფლება	<u>92,885</u>	<u>16,522</u>	<u>-</u>

აქტივები გამოყენების უფლებით, მიეკუთვნება იმავე ჯგუფის ელემენტებს, რომელშიც მათი შესაბამისი აქტივები იქნებოდნენ იმ შემთხვევაში თუკი ჯგუფი იქნებოდა მათი მფლობელი.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	84,736	66,379
მიღებული ავანსები	304	13,181
საგადასახადო ვალდებულება	1,316	1,990
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	1,639	1,107
სხვა	4	455
	<u>87,999</u>	<u>83,112</u>

გარკვეული საქონლის შესყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდი 1-30 დღეა (2018: 1-30 დღე). სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ. ჯგუფი იყენებს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკას, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა ვალდებულება იფარება საკრედიტო პერიოდში.

ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 26 ა)-ში.

17. შემოსავალი

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საქონლის გაყიდვა	540,402	417,779
საიჯარო შემოსავალი	99	73
სხვა შემოსავალი	36	-
	540,537	417,852

18. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
გასაყიდი საქონლის შესყიდვის ფასი	295,614	203,484
პირდაპირი მასალები	59,568	73,946
თანამშრომელთა კომპენსაციის ხარჯი	8,537	5,694
ცვეთის ხარჯი	3,089	1,970
კომუნალური ხარჯები	2,428	1,636
დამატებითი მასალები	1,270	779
შეკეთებისა და კეთილმოწყობის ხარჯები	524	491
იჯარის ხარჯები	340	889
ტრანსპორტირების ხარჯები	3	14
სხვა	1,745	625
	373,118	289,528

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს ხელფასებსა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებებს, ასევე საკუთარი პროდუქციის წარმოებისას გამოყენებულ ნედლეულისა და მასალების თვითღირებულებას. იგი ასევე მოიცავს წარმოებაში მომუშავე თანამშრომელთა ხელფასებსა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებებს, შენობისა და საკვების მწარმოებელი მანქანა-დანადგარების ცვეთას, წარმოებაში გამოყენებული აქტივების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ხარჯებსა და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია პროდუქციის გასაყიდად წარმოებისთვის.

19. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	26,241	19,976
ცვეთის ხარჯები	22,525	4,887
მარკეტინგის ხარჯები	19,580	13,571
დისტრიბუციის ხარჯები	3,841	3,113
იჯარის ხარჯები	2,178	17,600
	74,365	59,147

დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები მოიცავს მაღაზიებში მომუშავე ასისტენტების, სალაროსა და სხვა თანამშრომლების ხელფასებსა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებებს, ასევე დისტრიბუციისა და დისტრიბუციის თანამშრომელთა ხელფასებსა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებებს. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები ასევე მოიცავს მაღაზიების შენობების, თაროების, მაცივრებისა და მაღაზიის სხვა აღჭურვილობის, დისტრიბუციის მანქანების ცვეთის ხარჯებსა და სხვა გაყიდვებთან, მარკეტინგთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

20. ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	29,696	23,598
მარაგების ჩამოწერის ზარალი	11,542	7,544
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	5,369	3,960
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	2,100	2,357
რემონტის ხარჯები	2,652	2,109
საოფისე ხარჯები	2,917	1,816
საბანკო ხარჯები	2,404	1,564
მარაგების დანაკარგების რეზერვი	1,302	440
კომუნალური ხარჯები	501	730
იჯარის ხარჯი	774	546
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	476	420
სხვა	5,165	1,221
	64,898	46,305

21. ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე	9,821	-
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	4,761	4,401
საპროცენტო ხარჯები ობლიგაციებზე	5,130	4,124
	<u>19,712</u>	<u>8,525</u>

22. ზარალი საკურსო სხვაობიდან

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული	1,606	(16)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული	(12,823)	(2,867)
	<u>(11,217)</u>	<u>(2,883)</u>

23. შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19-მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამოწვევების გარდა, რომელიც მოიცავს საკვები პროდუქტებით მოვაჭრე დაწესებულებებს. მთავრობის მიერ მიღებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მეწარმეების წახალისების მიზნით, მათ შორის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, რომლებიც დაწესდა დასაქმების სტიმულირების მიზნით და მოქმედებს 2020 წლის მაისიდან ოქტომბრამდე პერიოდში. აღნიშნული საგადასახადო შეღავათებით ჯგუფმა 2020 წლის მაისში მიიღო 660 ათასი ლარის სარგებელი.

სს „ნიკორა“, თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად, არის წამყვანი ადგილობრივი საკვები პროდუქტების მწარმოებელი და საცალო მოვაჭრე ქართულ ბაზარზე და მენეჯმენტს სჯერა, რომ თავის ბიზნეს სექტორში შეფერხებები მინიმალურია. ამ დრომდე ნედლეულის მიწოდება სათანადოა და მოთხოვნაც ჯგუფის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე - შედარებით სტაბილური. 2020 წლის მარტის ბოლოდან, როცა საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, ჯგუფი წარმოების პროცესს შეუფერხებლად და შეუზღუდავად აგრძელებდა. მიუხედავად იმისა, რომ მარტის ბოლოდან და 2020 წლის აპრილის განმავლობაში, ზოგიერთ შვილობილ კომპანიაში გაყიდვები შემცირდა 25%-ით, ჯგუფის გაყიდვები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 20%-ით და ივნისიდან გაყიდვების მაჩვენებელი ისევ იზრდება, ამიტომ სექტემბრისთვის, ჯგუფის ხელმძღვანელობა გაყიდვების ჩვეულ დონეზე დაბრუნებას მოელოდა.

ჯგუფი ისევ მუშაობს იმგვარი სამუშაო პროცესის ორგანიზებაზე, რომელიც მისცემს მას საშუალებას გაუმკლავდეს გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. შვილობილი კომპანიების უმეტესობისთვის უცხოელ მომწოდებლებთან ხელშეკრულების პირობებში მოხდა ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებების გადახდის თარიღებთან დაკავშირებით, თუმცა არ შეცვლილა შიდა ჯგუფური პროდუქციის გაყიდვის / შესყიდვის ხელშეკრულების პირობები. პოზიტიური სამომავლო დაშვებების მიუხედავად, შვილობილებისთვის, რომლებიც თავიანთ პროდუქტს ჯგუფის გარეთ ყიდნიან, მენეჯმენტი აფასებს პანდემიით გამოწვეულ საბაზრო ფასების რისკს.

ჯგუფის ხელმძღვანელობას აქვს მოლაპარაკებები ფინანსურ ინსტიტუტებთან, თავისი ლიკვიდობის შესანარჩუნებლად და მათი ზრდის მხარდასაჭერად. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია და აქვს საფუძვლები მოლოდინისა, რომ საფინანსო ინსტიტუტები განაგრძობენ ჯგუფის ფინანსურ მხარდაჭერას.

ჯგუფის მენეჯმენტმა მიიღო შემდგომი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოს ორგანიზებასა და კადრების უზრუნველყოფასთან:

- როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციამ, ჯგუფმა გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ყველა თანამშრომელი და გადაეხადა ხელფასები სრულად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, თუმცა ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების მომენტში, არ არსებობს მომავალში თანამშრომელთა სრული რაოდენობის შენარჩუნებს მკაფიო გეგმა. ამგვარი გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე;
- ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი მუშაობდა დისტანციურად, სახლიდან;
- ჯგუფმა შექმნა სპეციალური გუნდი პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებისთვის;
- სამუშაო პროცესის ხელშეშლის თავიდან აცილების მიზნით, ჯგუფმა თანამშრომლები უზრუნველყო სატრანსპორტო მომსახურებით.

24. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

24.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფის შეფასებებს და დაშვებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტს შეფასებული აქვს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური კონსოლიდირებული ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება, აღრიცხული გადაფასების მოდელის გამოყენებით

ჯგუფის მიწა და შენობები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით. ძირითადი

საშუალებების გადაფასებული ღირებულების კლასები გამოყოფილია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის ანგარიშის საფუძველზე, რომელმაც გადაფასა აღნიშნული აქტივები. გადაფასება მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს. ამგვარად, ჯგუფის ძირითადი საშუალებების ფაქტიური სამართლიანი ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებებისგან.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს სასაქონლო მატერიალური მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ, ყველაზე სანდო მტკიცებულებაზე დაყრდნობით. მომავალში, ამ მარაგების რეალიზაციაზე გავლენა შეიძლება იქონიოს მომავალმა ტექნოლოგიურმა ან სხვა ბაზრის მამოძრავებელმა ცვლილებებმა, რომელთაც შესაძლოა შეამცირონ მომავალი გასაყიდი ფასები.

გუდვილის მიმდინარე ღირებულება

გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესების გაერთიანების შედეგად სხვა აქტივებისაგან. მისი ინდივიდუალურად და ცალკე აღიარება ვერ ხდება. შესაბამისად გუდვილის გაუფასურების დადგენისათვის საჭიროა დაშვებები და შეფასებები რომელიც უკავშირდება ჯგუფის სამომავლო ტრანზაქციებს და სხვა მოვლენებს რომლებიც ვითარდება ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის გარშემო, რომელთაგან მრავალი არის ჯგუფის კონტროლს მიღმა. იმისათვის რომ გავზომოთ გუდვილის შესაძლო გაუფასურება ჯგუფი იყენებს ხუთი წლის ბიუჯეტს, რომელშიც მოიცავს მრავალ დაშვებას მათ შორის გაყიდვების ზრდის ტემპს, ინფლაციას, კონკურენციის დონეს, საბაზრო წილსა და სხვა.

მენეჯმენტის გაანგარიშებები, რომლებიც ეყრდნობა მიმდინარე შეფასებებს, დაშვებებსა და მოლოდინებს გვიჩვენებს, რომ გუდვილი მოცემული ანგარიშგების თარიღისთვის არ არის გაუფასურებული. თუმცა, ხელმძღვანელობის მიერ შეფასებულსა და რეალურად არსებულ მდგომარეობას შორის სხვაობამ, შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს გუდვილის ღირებულებაზე. იხილეთ შენიშვნა 4.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები

ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

24.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიიდან გამომდინარე, რომელშიც ჯგუფი ოპერირებს და განიხილავს მიმდინარე მოვლენების განვითარებას მარტიდან, როცა მთავრობამ მიიღო განსაკუთრებული ზომები პანდემიის საპასუხოდ, ივნისამდე, მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. მენეჯმენტის აზრით, საკვები პროდუქტების წარმოება და მიწოდება არის ერთერთი ყველაზე ძირითადი და გადამწყვეტი ბიზნესის კატეგორია, რომელიც ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი განაგრძობს მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერილი იქნება მთავრობის მიერ. ჯგუფის მენეჯმენტი აცხადებს, რომ დედა და შვილობილი კომპანიები, საოპერაციო დონეებზე დრამატული ცვლილებების გარეშე განაგრძობენ საოპერაციო მოქმედებებს მომავალში, აქედან გამომდინარე, ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

25. ფინანსური ინსტრუმენტები

25.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

25.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

საბალანსო ღირებულებები, რომლებიც წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თითოეული კატეგორიის ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულებისთვის ასახულია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ¹	21,315	23,273
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	3,620	3,175
	<u>24,935</u>	<u>26,448</u>

1 ეს თანხა მოიცავს მხოლოდ იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება:		
სესხები	47,175	42,643
ობლიგაციები	54,056	51,857
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	86,379	67,941
საიჯარო ვალდებულებები	105,007	-
	<u>292,617</u>	<u>162,441</u>
წმინდა პოზიცია	<u>(267,682)</u>	<u>(135,993)</u>

26. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც ჯგუფთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა ჯგუფის საიჯარო ვალდებულებებისა და სესხებისგან, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს ჯგუფის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ათასი ლარი**2019 წლის 31 დეკემბერი***ფინანსური აქტივები*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფული და საბანკო ანგარიშები

ფინანსური ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები

სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

წმინდა პოზიცია

დოლარი

ევრო

826

659

9

-

835

659

94,381

571

3,027

3,086

1,931

3,533

99,339

7,190

(98,504)

(6,531)

ათასი ლარი**2018 წლის 31 დეკემბერი***ფინანსური აქტივები*

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფული და საბანკო ანგარიშები

ფინანსური ვალდებულებები

ობლიგაციები

სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სულ ფინანსური ვალდებულებები

წმინდა პოზიცია

დოლარი

ევრო

234

85

2

-

236

85

26,696

-

19,941

2,611

2,687

3,988

49,324

6,599

(49,088)

(6,514)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2018: 15%) კლება/მატების გავლენას

ჯგუფზე. აღნიშნული 15% (2018: 15%) არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2018: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2018: 15%), მაშინ მას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2019	2018	2019	2018
მოგება/ზარალი	14,776	7,363	980	977

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან და ბალანსებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს ჯგუფის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფს გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. ჯგუფის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთებზე გაიზრდებოდა/შემცირდებოდა, ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით, რომლებიც დამოკიდებულია LIBOR-ზე და ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2019	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ლარი	11.33%	11.71%
დოლარი	6.21%	6.62%
ევრო	7.04%	7.17%
ობლიგაციები		
ლარი	10.97%	11.86%
2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ლარი	10.37%	11.03%
დოლარი	8.83%	9.31%
ევრო	7.40%	7.48%
ობლიგაციები		
ლარი	11.00%	11.50%
დოლარი	9.00%	9.74%

საპროცენტო განაკვეთზე მგრძნობელობის ანალიზის ჩასატარებლად ქვემოთ მომზადებულია 3%-ის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება. 3% წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას შესაძლო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთი იყო 3%-ით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადები იყო უცვლელი, ჯგუფი:

- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წლის ბოლოს მოგება გაიზარდებოდა/ შემცირდებოდა 251 ათასი ლარით (2018: გაიზარდებოდა/შემცირდებოდა 185 ათასი ლარით);

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთზე ძირითადად გაიზარდა იმის გამო, რომ იცვლება საპროცენტო განაკვეთის მქონე საბანკო სესხები და ობლიგაციები.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა ჯგუფის მხრიდან ხორციელდება საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით.

საკრედიტო რისკები, რომელიც დაკავშირებულია ბანკებში განთავსებულ ნაღდ ფულთან, უზურნველყოფილია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში მათი განთავსებით.

ჯგუფი მუდმივად აკვირდება კლიენტთა კრედიტუნარიანობას. სადაც შესაძლებელია, იგი მოიძიებს და იყენებს გარე საკრედიტო რეიტინგებს ან/და ანგარიშებს კლიენტთა შესახებ. ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს ურთიერთობას მხოლოდ კრედიტუნარიან მხარეებთან. საკრედიტო პირობები მერყეობს 30-დან 90 დღემდე. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზისა და კლიენტზე საკრედიტო ლიმიტის განსაზღვრის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (ე.ი. წყდება მათი აღიარება), როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, ჯგუფი არ ხასიათდება რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით რომელიმე კონტრაგენტის ან საერთო მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ. მომხმარებლებთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო ხარისხს დადებითად აფასებს.

სავაჭრო მოთხოვნების დანაკარგების რეზერვის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საბოლოო ბალანსის რეკონსილაცია, სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსთან შემდეგნაირად ხდება:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
დანაკარგების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
წლის განმავლობაში აღიარებული დანაკარგების რეზერვი	31	-
წლის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	-	-
დანაკარგების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	31	-

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2019	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულე ბა	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი(%)		10.43%	11.53%	9.98%	
6 თვეზე ნაკლები	86,379	13,602	11,427	2,065	113,473
6 თვიდან 1 წლამდე	-	13,618	6,067	567	20,252
1-5 წლამდე	-	84,986	78,518	12,262	175,766
5 წელზე მეტი	-	26,417	135	520	27,072
	86,379	138,623	96,147	15,414	336,563

2018	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულე ბა	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი(%)		-	10.70%	10.60%	
6 თვეზე ნაკლები	67,941	-	17,140	25,339	110,420
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	3,763	1,123	4,886
1-5 წლამდე	-	-	48,910	267	49,177
5 წელზე მეტი	-	-	59	102	161
	67,941	-	69,872	26,831	164,644

ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან

ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

27. რეალური ღირებულების შეფასება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

27.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური აქტივები ან ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც რეგულარულ საფუძველზე ფასდება რეალური ღირებულებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება წარმოადგენს მათი რეალური ღირებულების მიახლოებულ მაჩვენებელს.

27.2 არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება

ჯგუფის მიწა და შენობები წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. მათი შეფასებული რეალური ღირებულება ხვდება კატეგორიების მე-3 საფეხურზე. ამ აქტივთა სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია დამოუკიდებელი, კვალიფიციური უძრავი ქონების შემფასებლების მიერ, რომელთაც გააჩნიათ საჭირო ლიცენზია. მნიშვნელოვანი მონაცემები და მოსაზრებები ჩამოყალიბებულია ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კონსულტაციით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	შეფასების თარიღი	ჯამი	აქტიურ ბაზარზე კოტირებული (1- ლი დონე)	დაკვირვებადი მონაცემები (მე- 2 დონე)	არადაკვირვებადი მონაცემები (მე-3 დონე)
მიწა	2019 წლის 31 დეკემბერი	14,481	-	-	14,481
შენობები	2019 წლის 31 დეკემბერი	41,071	-	-	41,071

შეფასება განხორციელდა საბაზრო მიდგომების გამოყენებით. შეფასება ჩატარებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საბაზრო მიდგომა ასახავს ბოლო საბაზრო ოპერაციების შედეგად დაკვირვებად ფასებს მსგავს ქონებაზე და აერთიანებს კორექტირებებს მიწასთან დაკავშირებულ სპეციფიურ ფაქტორებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთის ზომა, ადგილმდებარეობა, შეზღუდვები და გამოყენების მიზანი.

მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელზე დაკვირვებაც ვერ ხდება, არის საკვლევი მიწის ან ძირითადი საშუალების სფეროში ფაქტორების კორექტირება. ამ კორექტირებების ზომა და მიმართულება დამოკიდებულია მსგავსი თვისებების მქონე საკვლევი საბაზრო ოპერაციების რაოდენობასა და მახასიათებლებზე, რომლებიც დაკავშირებულია შესადარის ქონებებთან, რომლებიც შეფასების პროცედურის საწყისი წერტილია. ამასთანავე, რადგან აღნიშნული მონაცემი სუბიექტური მსჯელობის საგანია, ხელმძღვანელობა თვლის, რომ სხვა გონივრულად შესაძლო ალტერნატიულ შეფასებებს, არ ექნება არსებითი გავლენა მთლიანი შეფასების შედეგზე.

28. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება შშობელი კომპანიის მფლობელების კუთვნილი კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, აკუმულირებულ მოგებას და რეზერვებს, და ასევე სავალო ინსტრუმენტებისგან, რომლებიც მოიცავს სესხებს, ობლიგაციებს და საიჯარო ვალდებულებებს. მათი დეტალები წარდგენილია შესაბამისად შემდეგ შენიშვნებში 13, 14 და 15.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გათვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, გამოუშვას ახალი აქციები ან გამოისყიდოს საკუთარი აქციები, აიღოს ახალი სესხები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის გადასახედად, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	72,816	64,172
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(3,620)	(3,175)
კაპიტალი	69,196	60,997
მთლიანი კაპიტალი	72,816	64,172
სესხები	47,175	42,643
ობლიგაციები	54,056	51,857
საიჯარო ვალდებულებები	105,007	-
სრული ფინანსირება	279,054	158,672
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.25	0.38

29. გაუთვალისწინებელი გარემოებები

29.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

კოვიდ 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და ჯგუფის მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება ჯგუფის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

29.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს თითქმის ყველა შენობა და ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა ჯგუფს არ გააჩნია ბიზნეს საქმიანობის და მარაგების დაზღვევა, რისთვისაც იგი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

29.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარსებულ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტებები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი ჯგუფზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

29.4 გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა საქართველოში განვითარების ეტაპზეა და შესაძლოა მოხდეს კანონის ისეთი ცვლილებები, რომლებიც შესაძლოა რელევანტური გახდეს ჯგუფის ოპერაციებისთვის. თუმცა ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფი აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. სჯერათ, რომ ჯგუფს არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი და არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე სახის მატერიალური გარემოსდაცვითი ვალდებულება წარმოიქმნება მომავალში.

30. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ჯგუფის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	ობლიგაციები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	14,126	25,800	38,934	-	78,860
ფულადი ნაკადების მოძრაობა					
სესხის აღება	138,503	91,881	25,000	-	255,384
სესხის დაფარვა	(110,817)	(122,703)	(16,303)	-	(249,823)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა					
დარიცხული პროცენტი	3,450	951	4,124	-	8,525
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	516	936	102	-	1,554
რეკლასიფიკაცია	(25,344)	25,344	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	20,434	22,209	51,857	-	94,500
ფასს 16-ის კორექტირება	-	-	-	87,143	87,143
2019 წლის 1 იანვარი	20,434	22,209	51,857	87,143	181,643
ფულადი ნაკადების მოძრაობა					
სესხის აღება	73,894	196,026	27,740	22,265	319,925
სესხის დაფარვა	(50,756)	(217,129)	(28,791)	(10,821)	(307,497)
გადახდილი პროცენტი	(399)	(3,135)	(3,927)	(9,629)	(17,090)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა					
დარიცხული პროცენტი	1,386	3,375	5,130	9,821	19,712
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან	485	785	2,047	6,228	9,545
რეკლასიფიკაცია	(26,914)	26,914	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	18,130	29,045	54,056	105,007	206,238

31. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ მისი მშობელი კომპანია, შვილობილები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

31.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის უმსხვილეს აქციონერს წარმოადგენს ვასილ სუხიაშვილი, რომელიც ფლობს ჩვეულებრივი აქციების 29%-ს. ჯგუფს არ ჰყავს ერთი მაკონტროლირებელი აქციონერი.

31.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ტრანზაქციები		
აქციონერები		
გადახდილი დივიდენდი	(5,749)	(5,909)
შემოსავლები პრივილეგირებული აქციებიდან	-	-
გადახდები პრივილეგირებულ აქციებზე	(682)	(6,132)
	<u>(6,431)</u>	<u>(12,041)</u>
ათასი ლარი		
ბალანსები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		
გაცემული სესხები	-	144
	<u>-</u>	<u>144</u>

31.3 გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	3,517	2,909

სააქციო საზოგადოება ნიკორა



წლიური ანგარიში მმართველობის ანგარიშგება

2019 წელი

წარმომადგენლობა და დათქმა


წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #78/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს სს „ნიკორას“ კონსოლიდირებულ წლიურ ანგარიშს - მმართველობის ანგარიშგებას. ანგარიში არის სრული, სწორი და სამართლიანი.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმომადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიც შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

გენერალური დირექტორი
სს „ნიკორა“




ვასილ სუხიაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე
სს „ნიკორა“



ირაკლი გეჯაძე
ფინანსური დირექტორი
სს „ნიკორა“



14 ივლისი 2020

შინაარსი:

1. საქმიანობის მიმოხილვა	4
1.1. ნიკორას შესახებ მოკლედ	4
1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია	5
1.3. ბრენდების მიმოხილვა	9
1.4. ჯილდოები	10
1.5. საოპერაციო გარემოს მიმოხილვა	11
1.5.1. ძირითადი ბაზრები	11
1.5.2. საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა	11
1.5.3. კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა	12
1.6. ბიზნესი და ოპერაციები	16
1.6.1. ბიზნეს მოდელი	16
1.6.2. ბოლო პერიოდის ბიზნეს განვითარება	17
1.6.3. განვითარების სტრატეგია	19
1.7. ფინანსური ინფორმაცია	21
1.7.1. ფინანსური ანგარიშგებები	21
1.7.2. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა	26
1.7.3. აქციების გამოსყიდვა	32
1.7.4. კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა	32
1.8. ფინანსური რისკების მართვა	35
1.8.1. საბაზრო რისკი	35
1.8.2. საკრედიტო რისკი	36
1.8.3. ლიკვიდურობის რისკი	37
1.8.4. კაპიტალის რისკის მართვა	37
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება	38
2.1. მმართველობის ორგანოები	38
2.1.1. პარტნიორთა საერთო კრება	38
2.1.2. სამეთვალყურეო საბჭო	40
2.1.3. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	42
3. არაფინანსური ანგარიშგება	44
3.1. დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა	44
3.2. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	49
3.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა	50
3.4. „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები	52

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. ნიკორას შესახებ მოკლედ

კომპანია "ნიკორა" 1998 წელს ქართული კაპიტალით დაფუძნდა როგორც ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია და უკვე 20 წელზე მეტია კვების პროდუქტების ბაზრის უცვლელი ლიდერია. განვითარებისა და სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელების შედეგად, ამჟამად კომპანია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოლდინგს (ჯგუფს), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას და ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო პროდუქციისა და ღვინის საწარმოებს, აგრეთვე კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ/დისტრიბუტორ კომპანიებს.

მუდმივი განვითარების, ხარისხის სტანდარტების ზრდის, მომხმარებელთა ლოიალურობის კვალობაზე „ნიკორა“ უკვე წლებია ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და ღირებული ბრენდი საქართველოში. ჯგუფის ყველაზე მსხვილი ბიზნეს მიმართულებებია: საცალო გაყიდვების სუპერმარკეტების ქსელი - რაოდენობისა და ქვეყნის ტერიტორიაზე განშლადობის კუთხით ასევე ბაზრის ლიდერი და ხორცპროდუქტების წარმოება - ბაზრის უდავო ლიდერი საქართველოში. "ნიკორას" ბრენდის ქვეშ არსებული სუპერმარკეტების გარდა, ჰოლდინგის მფლობელობაშია "ნუგემის", "ლიბრესა" და "სანდის" სავაჭრო ობიექტები. კომპანია 500-მდე დასახელების პროდუქციის წარმოება-რეალიზებას ეწევა, თანამშრომლების რაოდენობა კი 6,950-ს შეადგენს.

ჰოლდინგი ნიკორა - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები ('000 ლ)	2018	2019	ცვლ. (%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	417,852	540,537	29.4
საერთო მოგება	128,324	167,419	30.5
საოპერაციო მოგება	23,319	28,948	24.1
წლის მოგება	6,986	(8,285)	(218.6)
სულ გაერთიანებული შემოსავალი	6,986	(517)	(107.4)
აქტივები და ვალდებულებები ('000 ლ)	2018	2019	ცვლ. (%)
სულ აქტივები	241,885	367,498	51.9
სულ ვალდებულებები	177,713	294,682	65.8
სულ კაპიტალი	64,172	72,816	13.5
ფინანსური მაჩვენებლები	2018	2019	ცვლ. (%)
საერთო მოგების მარჟა (%)	30.7	31.0	0.9
მოგების მარჟა (%)	1.7	(1.5)	(191.7)
უკუგება კაპიტალზე (%)	11.4	(12.1)	(206.3)
სესხები/კაპიტალი	1.47	1.39	(5.6)
არაფინანსური მაჩვენებლები	2018	2019	ცვლ. (%)
დასაქმებულთა რაოდენობა	6,000	6,950	15.8
სავაჭრო ობიექტების რაოდენობა	258	288	11.6
გაყიდვების ფართობი (მ²)	36,625	47,419	29.5

1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

სს „ნიკორა“, როგორც ჰოლდინგი ამჟამად არის საქართველოს უდიდესი საკვების მწარმოებელი და საცალო მოვაჭრე. დაარსების პირველ წლებში, როგორც მცირე ზომის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია, იგი მომხმარებელს „ივერიას“ და „რძიანის“ ტიპის სოსისებს სთავაზობდა. პირველი მაღაზია 2000 წელს გაიხსნა და მომხმარებელს შესთავაზა მაღალი ხარისხის სოსისისა და ლორის დიდი ასორტიმენტი. კომპანიის პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოების პროცესი. 2001 წელს „ნიკორამ“ დააარსა სადისტრიბუციო ქსელი. შემდგომი წლების განმავლობაში კომპანია გარდაიქმნა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ საკვების ინდუსტრიაში. ამჟამად „ნიკორა ჯგუფი“ არის ₾540.5 მილიონიანი ბრუნვის მქონე ბიზნესი, რომელშიც დასაქმებულია 6,950 თანამშრომელი და მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. კომპანიის წარმოებული ხორცპროდუქტები 80-მდე სახეობას მოიცავს, მათ შორის ნედლად შებოლილი პროდუქცია, რომელთა წარმოება მოითხოვს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოცდილებას და ცოდნას. ნედლად შებოლილ ხორცპროდუქტების მხრივ „ნიკორა“ წლების განმავლობაში ერთადერთი მწარმოებელია საქართველოში. ჰოლდინგში შემავალი კომპანიები ასევე აქტიური მონაწილენი არიან საქართველოს ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა თევზულისა და ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, პურ-ფუნთუშეულის წარმოება, აგრეთვე სხვადასხვა საკვებისა და სასმელების იმპორტი-დისტრიბუცია.

1999 წელს ოპერაციების დაწყების შემდეგ „კომპანია“ აგრესიულად იზრდებოდა. „ნიკორა“ იყო პირველი ქართული მწარმოებელი, რომელმაც ნაწარმის გაყიდვა საკუთარ ქსელში დაიწყო 2000 წელს. 2001-2002 წლებში სწრაფმა ზრდამ საკუთარი სადისტრიბუციო ოპერაციების და სტაბილური მიწოდების ქონის აუცილებლობა შექმნა. ამის საპასუხოდ, „კომპანია“ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი შექმნა და დაიწყო ინვესტიციები გაყიდვების არეალის გაფართოებაში. მომდევნო წელს კომპანია რძის და ზღვის პროდუქტების ბაზარზე შევიდა. გურიის სოფელ ვაკიჯვარში შეიქმნა საკალმახე მეურნეობა, რათა უზრუნველყო კომპანიის საწარმოო რესურსების სტაბილური მომარაგება. 2004 წელს „ნიკორა“ საკვების ნახევარფაბრიკატების ბაზარზე შევიდა და ნაყინის ბიზნესი წამოიწყო, ხოლო 2005 წლიდან დაიწყო საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტი.


2008 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო, როცა მან მოახდინა რძის და ზღვის პროდუქციის წარმატებული რებრენდინგი („ჩვენი ფერმერი“ და „ოკეანე“) და გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი ცომეული და გამომცხვარი პროდუქციით.

„ნიკორა“ ასევე გახდა ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია, რომელმაც მიიღო ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატები.


მომდევნო წლებში „კომპანია“ ახდენდა არსებული ბიზნეს-პლატფორმის ოპტიმიზაციას, აფართოებდა საცალო ქსელს და აუმჯობესებდა ეფექტიანობას. 2015 წელს კომპანიამ დაიწყო სალათების და ყველის წარმოება.

არსებობის განმავლობაში კომპანია აფართოებდა „ნიკორა ტრეიდის“ საცალო ვაჭრობის ქსელს. ეს ქსელი 2000 წელს გაჩნდა და თავდაპირველად თბილისში კომპანიის პროდუქციის გაყიდვით იყო დაკავებული. 2019 წლის ბოლოსთვის, ქსელში 288 სავაჭრო ობიექტი შედის და 10,000-მდე სახეობის პროდუქცია იყიდება, მათ შორის, 500-ზე მეტი სახეობის პროდუქტი „ნიკორას“ წარმოებისაა.

განვითარების ძირითადი ეპიზოდები



ჰოლდინგის სტრუქტურა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს ღებულობს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ მიმართულებად შეიძლება დაიყოს: ა) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის, სალათების და ღვინის წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, შპს კორიდა, შპს მზარეული 1, შპს ჩვენი ფერმერი, შპს კულინარი, შპს ვაკიჯვრის კალმახი, შპს ოკეანე და შპს ნაფარეულის ძველი მარანი; ბ) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება სს ნიკორა ტრეიდის მეშვეობით; გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ შპს პარტნიორი, შპს კორიდა და შპს ნიკორა კახეთი; დ) სასმელების და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც შპს ინტრეიდი და შპს მულტიტრეიდი ახორციელებენ.

შპს „ნიკორა“ – კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით კომპანია აწარმოებს 50 სახეობის გაყიდულ პროდუქტს. ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების კერძებს.

შპს „კორიდა“ – შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს (დასავლეთ საქართველოში).

შპს „ინტრეიდი“ – კომპანია ევროპის ქვეყნებიდან მაღალი ხარისხის ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს. “ როგორიცაა: „ჯუსი“, „პფანერი“, „ნატურალისი“, „ენერგია“, „ალოე“, ლუდები: Warsteiner, Grolsch, Pilsner Urquell, Gambrinus, Sol, New Castle, Murphy's, Radeberger, Jever, Schöfferhofer, DAB, Bud, არყები: Gradus, Хлебная, Parliament, Green Mark, Talka, დაბალ ალკოჰოლური სასმელი Shake, The Good Cider of San Sebastian, ასევე სნეკები Peyman და სხვა.

შპს „მულტიტრეიდი“ – კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე გასაყიდად, ასევე შპს „ნიკორასთვის“ და შპს „კორიდა“-თვის.

შპს „მზარეული 1“ – პურ-ფუნთუშეულის და ნამცხვრების წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.

შპს „ჩვენი ფერმერი“ – კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს, კარაქს, ყველს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე “დღის პროდუქტის” სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი – „პალომა“-ს სავაჭრო სახელით.

შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება სს „ნიკორა ტრეიდის“ სუპერმარკეტის ქსელში.

შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ (ყოფილი შპს „აგია“) – არის საკალმახე მეურნეობა, წელიწადში 300 ტონა თევზის საწარმოო მოცულობით, რომელიც აგრეთვე აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანეს“ საფირმო სახელწოდებით.

შპს „ოკეანე“ – აწარმოებს ზღვის პროდუქტებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს. „ოკეანე“ ყიდის ცოცხალ, შეციებულ, გაყინულ, მარილში გამოყვანილ, ნახევრად შებოლილ და დამარილებულ თევზეულს, აგრეთვე თევზის სალათებს, პრესერვებს, კონსერვებს, ხიზილალას და ზღვის სხვა პროდუქტებს.

შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - ფლობს საკუთარ ვენახებს და აწარმოებს „ტევანის“ სახელწოდების სამი სახეობის მშრალ ღვინოს ("კახური", "ევროპული" და "კახური მწვანე" - რომელიც დამზადებულია რქაწითელისა და კახური მწვანეს ყურძნის ჯიშებისგან) და ორი სახეობის წითელ ღვინოს ("საფერავი" და "კაზერნე").

შპს „პარტნიორი“ - ახდენს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში.


შპს „ნიკორა კახეთი“ – 2018 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით ახდენდა ჰოლდინგური ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში კახეთის ტერიტორიაზე. 2018 წლის მეორე ნახევრიდან აღნიშნული ოპერაციები შეითავსა შპს პარტნიორმა.

შპს „ნიკორა ბაკურიანი“ - ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების მენეჯმენტი.

შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა დასახელების პროდუქციის იმპორტი.

2019 წლის ბოლოსთვის „ნიკორა ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივები 367.5 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო კონსოლიდირებულმა შემოსავალმა 2019 წელს 540.5 მილიონ ლარს მიაღწია.

ქვემოთ მოცემულ სურათზე წარმოდგენილია ჯგუფში შემავალი კომპანიების შემოსავლების განაწილება (კომპანიათაშორის ტრანზაქციების ელიმინაციამდე):



1.3. ბრენდების მიმოხილვა

ბრენდ „ნიკორას“ განვითარებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კომპანიის გაფართოების სტრატეგიაში. ბრენდი განვითარებასთან ერთად მცირე ადგილობრივი მწარმოებლიდან გადაიქცა მთელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილ კომპანიად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მომხდარი ეკონომიკური რყევების მიუხედავად, „კომპანია“ თანმიმდევრულად ცდილობდა მოეპოვებინა აღიარება და ნდობა მაღალი სტანდარტების დაცვით. ყურადღება ექცეოდა ადგილობრივ წარმოებას, პროდუქციის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, მაღალ ხარისხს, ფართო არჩევანსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებებს. „ნიკორას“ სახელის წარმატება ყოველთვის ეფუძნებოდა მუდმივი განვითარების პროცესს.

წლების განმავლობაში „კომპანია“ დააგროვა დიდი ტექნიკური გამოცდილება და კვების ინდუსტრიაში ბევრი წამოწყების ინიციატორი გახდა. ინოვაციის საჭიროებიდან გამომდინარე, „ნიკორა“ ყოველთვის ისწრაფოდა ტექნიკურად რთული პროექტების განხორციელებისკენ. „კომპანია“ პირველმა აწარმოა ბაზარზე ნედლად შებოლილი ძეხვეული და თევზეულის პრესერვები. აღნიშნული სახის პროდუქციის წარმოება დიდ გამოცდილებას და მაღალ ტექნოლოგიურ მხარდაჭერას მოითხოვს. „ნიკორა“ ასევე იყო მოწინავე ე. წ. დაცული შეფუთვის დანერგვის საკითხში. სწორედ მუდმივი ინოვაციებია კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ მომხმარებელს „ნიკორას“ ბრენდის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი აქვს.

ჰოლდინგში შემავალი კომპანიების პროდუქცია შემდეგი სავაჭრო ნიშნებით (ბრენდებით) იწარმოება:



შპს ნიკორას მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები: 25-ზე მეტი დასახელების მოხარშული და შებოლილი ძეხვეული, 20-მდე სახეობის სოსისები და სარდლები, შაშხი და 15-მდე სახეობის ნედლად შებოლილი ხორცპროდუქტი.



შპს ნიკორას მიერ წარმოებული პრემიუმ ხაზის ხორცპროდუქტები: ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.



შპს კორიდას მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები: ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.



შპს ნიკორას და შპს კორიდას მიერ წარმოებული ნახევარფაბრიკატები (ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციული კერძები - ხინკალი, პელმენი, ვარენიკი, ბლინები, კატლეტები და სხვა), აგრეთვე შპს ოკეანეს მიერ წარმოებული სოუსები.



შპს მზარეული 1-ის მიერ წარმოებული პურ-ფუნთუშეული და სხვადასხვა გამომცხვარი ნაწარმი.



შპს ოკეანეს მიერ წარმოებული თევზეულის და ზღვის სხვა პროდუქტები. ასორტიმენტშია: ცოცხალი, შეციებული, ცივად და ცხლად შებოლილი, დამარილებული, ნაკლებმარილიანი, ნახევრად შებოლილი თევზეული, პრესერვები და ზღვის დელიკატესები. „კომპანიის“ კალმასის ხიზილალა განსაკუთრებით პოპულარულია ქართველ მომხმარებლებს შორის.



შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული რძის პროდუქტები: მაწონი, არაჟანი, ხაჭო, რამდენიმე სახეობის კარაქი და ყველი - როგორც ქართული, ასევე ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული.



შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული 20-მდე დასახელების ნაყინი, რომელიც 2005 წლიდან იწარმოება. ნაყინი კარაქსა და შესქელებულ რძეზე მზადდება და უდავოდ გამორჩეული გემოთი და რბილი კონსისტენციით ხასიათდება.



შპს კულინარის მიერ წარმოებული სალათები. ბრენდის ქვეშ 30 ტიპის სალათი, 15 სახეობის მზა კერძი და 10-მდე დასახელების მწნილისა და ხილის სალათა იწარმოება.

გაყიდვები, სს ნიკორა ტრეიდის სავაჭრო ობიექტებში, შემდეგი სავაჭრო ნიშნის მქონე მარკეტებში ხორციელდება:



სუპერმარკეტები უმეტესად მორგებული საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე სეგმენტის მომხმარებლებზე.



ე. წ. დისქუნთერი მარკეტები.



მარკეტები, რომელიც დამატებით სარგებელს თავაზობს შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე სეგმენტის მომხმარებლებს.

1.4. ჯილდოები

კომპანიის არსებობის 21 წლის განმავლობაში უამრავი ჯილდო აქვს მიღებული; თანმიმდევრულად მისდევს საკუთარ მიზნებს, იცავს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა მომხმარებლებისათვის ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება, თანამშრომლებისათვის სტაბილური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მატერიალური ღირებულების შექმნა აქციონერებისთვის.

ხარისხის მართვის, როგორც წარმოებაში, მათ შორის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, აგრეთვე გაყიდვებში და ზოგადად მენეჯმენტში, მაღალი სტანდარტების წლების განმავლობაში დაცვის შედეგად „ნიკორა“ არაერთხელ გახდა საქართველოს პრესტიჟული სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი:

- ❖ წლის ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია - 2003 წ.
- ❖ წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია (ნახევარფაბრიკატი საკვები) - 2004 წ.
- ❖ წლის რეპუტაცია და ნდობა - 2005 წ.
- ❖ ხარისხის მართვის ISO 9001 : 2008 და სურსათის უვნებლობის ISO 22000 : 2005 (HACCP) სისტემების დანერგვა - 2008 წ.
- ❖ ოქროს ბრენდი - 2005, 2009, 2015, 2016, 2017, 2018 წ.
- ❖ ლიდერი კომპანია - 2007, 2009, 2013, 2014 წ.
- ❖ წლის საუკეთესო კომპანია - 2013 წ.
- ❖ ეროვნული ბიზნეს ჯილდო - 2016 წ.
- ❖ დარგის ლიდერის ჯილდო (ხორცპროდუქტებისა და თევზხეულის წარმოება) - 2015 წ.


1.5. საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

1.5.1. ძირითადი ბაზრები

სს „ნიკორა“-ს ჰოლდინგური სტრუქტურა მოიცავს კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან საკვების წარმოების, საცალო ვაჭრობის, იმპორტის და დისტრიბუციის საქმიანობებში. საცალო ვაჭრობა და ხორცის წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს. შედეგად, საკვებით საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება „კომპანიისთვის“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო ბაზარს საქართველოში. ნიკორა ჰოლდინგში შემავალი სს ნიკორა ტრეიდი ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იკავებს ორგანიზებული საცალო სასურსათო ბაზრის ლიდერის პოზიციას.

1.5.2. საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა¹


2019 წელს შეადგინა ლ15.4 მილიარდი. ის 8.6%-ით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს, რომელმაც ლ14.1 მილიარდი შეადგინა. 2010 წელს გაყიდვებმა ლ3.7 მილიარდი შეადგინა და ბოლო 10 წლის მანძილზე ყოველწლიურად საშუალოდ 17.1%-ით იზრდებოდა. ამ ინდუსტრიის ზრდა ძირითადად განპირობებულია ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და ბაზრის მომხმარებლების მყიდველობითუნარიანობის ზრდის ტენდენციით.



წყარო: საქსტატი

საცალო ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უდიდეს სეგმენტს წარმოადგენს. ამ სფეროში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2010-2019 წლებში წლიურად 12.63%-ით იზრდებოდა. 2019 წლის პირველ ნახევარში საცალო ვაჭრობის სფეროში ნაწარმოებმა შიდა პროდუქტმა ლ1.7 მლრდ შეადგინა, რაც მთლიანი მშპ-ს 8.1%-ია. საქსტატის 45 საქმიანობის სახის მიხედვით ჩაშლილი მიმდინარე ფასებში გაზომილი მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების მიხედვით, ვაჭრობის წილი მშპ-ში მზარდი ტენდენციით ხასიათდება - 2010 წლის პირველ ნახევართან შედარებით მან დახლოებით 2%-იანი ზრდა განიცადა. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მომავალში ვაჭრობის მოცულობის ზრდა ახლო კავშირში იქნება მთლიანი ეკონომიკის ზრდასთან.

¹ პარაგრაფი მომზადებულია „საქსტატის“ მონაცემების გამოყენებით და განიხილავს საცალო ვაჭრობის დარგის ბრუნვის მოცულობას



წყარო: საქსტატი

სექტორის ბაზრის მოცულობა 2013 წელთან შედარებით 50.7%-ითაა გაზრდილი. ამასთან, 2019 წელს სექტორის დაახლოებით მესამედს ორგანიზებული ბაზარი შეადგენდა, სწრაფად ბრუნვადი სექტორის 28%-იანი წილითა და ლ2.6 მლრდ-იანი გაყიდვების მოცულობით. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ურბანიზაციის ტემპის ზრდა სახელდება - 2015-2019 წლებში ძირითად ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობა 3,54%-ით გაიზარდა და 2019 წელს მოსახლეობის 58.7% ქალაქში ცხოვრობდა.

ამასთან სექტორის მთავარი საზომი - საშუალო გაყიდვები კვადრატულ მეტრზე 2019 წელს ლ11.5 ათასს შეადგენდა, რაც მეზობელ ქვეყნებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია.

1.5.3. კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა

სურსათი და არა-ალკოჰოლური სასმელები სამომხმარებლო კალათის 31.3%-ს შეადგენს. სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საკვებს და სასმელს მაღალი წილი უკავია მომხმარებლის მოცულობაში, რადგან ადამიანები ნაკლებს ხარჯავენ გართობასა და დასვენებაზე.

2001 წლის შემდეგ საქართველოში დაიწყო საცალო ვაჭრობის ქსელების კონსოლიდაციის პროცესი და დამოუკიდებელი „მინი-მარკეტები“ ორგანიზებულმა ქსელებმა ჩაანაცვლეს. უმეტეს შემთხვევაში ქსელებს აქვთ საშუალება შესთავაზონ მომხმარებელს უკეთესი ფასი, მიმზიდველი ლოიალურობის პროგრამები, თანმიმდევრული ხარისხი და თანამედროვე სავაჭრო გარემო, რაც მათ საშუალებას აძლევს მოიზიდონ და შეინარჩუნონ მომხმარებელი.

ტრადიციულად, საქართველოში საკვებით საცალო ვაჭრობა ხდება შემდეგი საშუალებებით: დიდი სავაჭრო ცენტრები - სავაჭრო ადგილები სამი ან მეტი სალაროთი, სადაც მომხმარებელს ითავად იღებს და აგროვებს ნაწარმს; მცირე მაღაზიები - მაღაზიები ორი ან ნაკლები სალაროთი, ხშირად დახლს-ზემოთ მომსახურებით; კიოსკები - ტროტუარზე განლაგებული მცირე ზომის ჯიხურები, რომლებშიც შესვლაც მომხმარებელს არ შეუძლია და რომლებიც ყიდნიან ჩვეულებრივი მომხმარებლის საჭმელს და სასმელს; ქუჩის გამყიდველები - გარე-მოვაჭრეები პროდუქციის ძალიან მცირე ასორტიმენტით; ლია


ბაზრები - საცალო მომხმარებელზე ორიენტირებული ინდივიდუალური დახლების გაერთიანება.

მომხმარებლის გემოვნების განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა ახალი სავაჭრო სივრცის კონცეფციების დანერგვა, რის შედეგადაც გაიხსნა პირველი ჰიპერმარკეტები და თვითმომსახურების საცალო მაღაზიები. მსგავსი მაღაზიები ხელმისაწვდომ ადგილებში არიან განთავსებულნი და მომხმარებელს სავაჭრო სივრცის გარდა ასევე სთავაზობენ საკვებ პუნქტებს, საცხოვრებელ და სხვა მომსახურებას. *სუპერმარკეტების* რამდენიმე ქსელი გაფართოვდა ქალაქის ცენტრსა და საცხოვრებელ უბნებში. ცენტრალური ადგილმდებარეობა, თანამედროვე დიზაინი, პროდუქციის ფართო არჩევანი (რაც ხშირად მოიცავდა მაღაზიის შიგნით გახსნილ სასადილოს და საცხობს) მოითხოვდა ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით უფრო დიდ ინვესტიციებს კაპიტალსა და სამუშაო ძალაში. შედეგად, სუპერმარკეტები უფრო მაღალ ფასად ყიდნენ პროდუქციას და შედეგად უფრო შეძლებულ მოსახლეობაზე ახდენდნენ ორიენტირებას.

თიბისი კაპიტალის კვლევის მონაცემების მიხედვით, „FMCG“ სექტორის წილი მთლიან მშპ-ში კიდევ უფრო მზარდია და მომავალი 5 წლის პროგნოზით, აღნიშნული სექტორის ორგანიზებულმა ნაწილმა უნდა მოიცვას საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი (ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნის შედეგად), რაც განაპირობებს ბაზრის შეღწევადობის გაზრდას 41%-მდე, არაორგანიზებული მოთამაშეების ბაზრის წილის კლების ხარჯზე.

ძირითადი მოთამაშეები ორგანიზებული საცალო ბაზარზე გაყიდვების მიხედვით²

საცალო ბაზარზე ნიკორა წარმოდგენილია მისი შვილობილი - სს ნიკორა ტრეიდის სახით. კომპანიის მონაცემებით 2019 წელს სს ნიკორა ტრეიდი ორგანიზებულ საცალო ვაჭრობის, გაყიდვების მოცულობით, ბაზრის ლიდერია:



წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

² პარაგრაფში გამოყენებულია მენეჯმენტის და თიბისი ბანკის სავარაუდო მონაცემები

ბაზარზე სხვა ძირითადი მოთამაშეები შემდეგი კომპანიებია:

კარფური - წარმოადგენს ფრანგულ საერთაშორისო ბრენდს, რომელსაც საქართველოში Majid Al Futtaim Group-ი ოპერირებს. კარფურის პირველი ჰიპერმარკეტი 2012 წელს გაიხსნა საქართველოში და ამჟამად ქვეყნის მასშტაბით ოპერირებს 15 ლოკაციაზე თბ. კარფური ყიდის როგორც ზოგად პროდუქციას, ასევე კერძო ლეიბლებს.

ორი ნაბიჯი - 2009 წელს დაარსებული ადგილობრივი ბრენდი, რომელსაც 2017 წლის ბოლოსთვის 100 მაღაზია ჰქონდა თბილისში და 11 თბილისის გარეთ. 2019 წელს კომპანია ფლობდა 180 სავაჭრო ობიექტს. ორი ნაბიჯი უზნის მაღაზიების სტრატეგიით ვითარდება და მისი მფლობელები ადგილობრივი მეწარმეები არიან.

SPAR (ფუდმარტი) - სუპერმარკეტების ქსელი ფუდმარტი 2013 წლიდან არსებობს, როდესაც მან ორი არსებული საცალო ქსელი (პოპული და იოლი) შეიძინა. 2014 წელს ფუდმარტმა მოახდინა საერთაშორისო ბრენდი SPAR-ის ფრანჩაიზის მიღება და 2017 წლის ბოლოსთვის თავისი ქსელი 63 მაღაზიამდე გაზარდა. 2019 წელს ბრენდი საქართველოში 150-ზე მეტ ობიექტს ფლობდა.

გუდვილი - არის პირველი ქართული ჰიპერმარკეტების ქსელი და ოპერირებს ოთხ მაღაზიას თბილისში და ოთხ მაღაზიას დანარჩენ რეგიონებში. მაღაზიები ყიდნიან კერძო ლეიბლის პროდუქციას და გააჩნიათ მზა საკვების მიტანის მომსახურება.

მაგნიტი - წარმოადგენს ადგილობრივ ბრენდს, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოს რეგიონებში გაფართოებაზე. კომპანია 2015 წელს შეიქმნა და 2017 წლის ბოლოსთვის 22 ობიექტი გააჩნდა. მისი სტრატეგიაა გაფართოვდეს რეგიონებში არა-ორგანიზებული ვაჭრობის ჩანაცვლების და მოგების რეინვესტირების გზით.

ევროპროდუქტი - ადგილობრივი ბრენდია, რომელიც 2004 წლიდან არსებობს და საქმიანობა იმპორტიორად დაიწყო. ამჟამად კომპანია 12 მაღაზიას ფლობს თბილისში და გეგმავს ქვეყნის მასშტაბით გაფართოვებას.

საკვების მწარმოებელი ინდუსტრია³


საკვების და სასმელის წარმოება საქართველოს „მშპ“-ში შემდეგი კატეგორიებით აღირიცხება:

- საფქველი მრეწველობის პროდუქტების წარმოება;
- პურის, ორცხოხილას, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება;
- კვების სხვა პროდუქტების წარმოება;
- მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება;
- ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება

2006-2018 წლებში საკვების და სასმელის წარმოება „მშპ“-ს სტაბილურ წილს წარმოადგენდა და 2.4%-3.8% დიაპაზონში მერყეობდა. სურსათის წარმოების კალათა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა წლების განმავლობაში, ალკოჰოლის და მინერალური წყლებისა და სასმელების

³მონაცემები „საქსტატის“ მიხედვითაა მომზადებული, თუკი სხვა რამ არ არის ნახსენები

სეგმენტების წილის ზრდის გარდა. 2018 წელს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება 9.7%-ით გაიზარდა და 72.6 ათასი ტონა შეადგინა, მათ შორის 22.9 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი იყო, 22.6 ათასი ტონა ფრინველის ხორცი იყო, ხოლო 17.6 ათასი ტონა ღორის ხორცი იყო.



წყარო: საქსტატი

საკვების წარმოების ინდუსტრია საქართველოში მცირე ნაწილებისგან შედგება და სანდო სტატისტიკური მონაცემების მოძიება რთულია. საშუალო ზომის მწარმოებელთა რაოდენობა შედარებით მცირეა და კონკურენტული გარემო საკმაოდ მიმზიდველია.

„ნიკორას“ ხორცის წარმოების სექტორში წამყვანი პოზიცია უკავია საქართველოს ბაზარზე.

1.6. ბიზნესი და ოპერაციები

1.6.1. ბიზნესმოდელი

ჰოლდინგში შემავალი, სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს ღებულობს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ პირობით კომპონენტად შეიძლება დაიყოს, რომელთა ერთობლიობითაც ქმნის ღირებულებას ნიკორა:



საგალო ვაჭრობის და კვების პროდუქტების, კერძოდ კი ხორცპროდუქტების წარმოების მიმართულებები ის ძირითადი ბირთვია, სადაც ნიკორა ჯგუფს მთავარი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიისთვის წარმოადგენს მოგების მთავარ წყაროს.

ხორცპროდუქტების და მათი ნახევარფაბრიკატების წარმოებაში ჩართული არიან შპს ნიკორა და შპს კორიდა, რომელთა პროდუქცია, აღნიშნული კომპანიების მრავალწლიანი სპეციალიზაციის შედეგად, სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე. ნიკორას ხორცპროდუქტების, როგორც ბრენდის, პოპულარიზაციას და მიმზიდველობას, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნიკორას სუპერმარკეტების ფართო ქსელი. მეორეს მხრივ საგალო ობიექტების სიმრავლე და აგრეთვე ფართო არეალი საშუალებას აძლევს წარმოების შვილობილ კომპანიებს მყისიერი რეაგირება მოახდინონ მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე, პრეფერენციების ცვლილებაზე; შედეგად მიიღწევა მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა და მაღალ დონეზე შენარჩუნება, როგორც პროდუქციის კუთხით, ასევე გაყიდვების სერვისის თვალსაზრისით.

ჰოლდინგში შემავალი კვების პროდუქტების სხვა მწარმოებელი კომპანიები (შპს ოკეანე, ჩვენი ფერმერი, მზარეული1, კულინარი, ვაკიჯვრის კალმახი, ნაფარეულის ძველი მარანი) ერთის მხრივ დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ, მაგრამ აგრეთვე ქმნიან ჰოლდინგის მდგრადობის და კონკურენტული უპირატესობის გაძლიერების დამატებით

ბერკეტს - მცირდება რა დამოკიდებულება მომწოდებლებზე, ნიკორას სუპერმარკეტებისთვის და უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში ჩნდება ბერკეტი მინიმალური ფასების მიღებისთვის მომწოდებლებისგან, რაც შემდგომში გაყიდვების ზრდის უმთავრეს წინაპირობას ქმნის - შევთავაზოთ მომხმარებლებს მაღალი სარგებელი/ღირებულების (benefit/value) პროდუქცია.

ჰოლდინგი ანალოგიური ბიზნეს მოდელით ახდენს სასმელების (გამაგრებული და ალკოჰოლური) და სხვადასხვა საქონლის იმპორტს, რაც შვილობილი კომპანია შპს ინტრეიდის მეშვეობით ხორციელდება. საკუთარი გაყიდვის ობიექტების რიცხოვნობის და ფართო არეალის საფუძველზე (და აგრეთვე მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანიების შესაძლებლობების გათვალისწინებით) მიღწეულ იქნა ის მასშტაბი იმპორტისთვის, რამაც საშუალება მისცა კომპანიას სასმელების სეგმენტშიც მიეღო დაბალი ფასები და აგრეთვე ექსკლუზიური იმპორტიორი გამხდარიყო რიგი პროდუქციის სახეობების საქართველოში.

ხორცპროდუქტების წარმოებისთვის კომპანია თავად ახდენს საჭირო ნედლეულის იმპორტს შპს მულტიტრეიდის მეშვეობით - ხორცპროდუქტების წარმოების მასშტაბიდან გამომდინარე მიიღწევა დაბალი ფასები ნედლეული იმპორტისთვის.


მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანია - შპს პარტნიორი - ახორციელებს სხვა შვილობილი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და იმპორტირებული საქონლის დისტრიბუციას გარე სავაჭრო ობიექტებში. (გამონაკლისია შპს კორიდა, ოკეანე, ვაკიჯვრის კალმახი და ჩვენი ფერმერი, რომლებიც პროდუქციის გარე ქსელებში დისტრიბუციას თავად ახდენენ).

1.6.2. ბოლო პერიოდის ბიზნეს განვითარება

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეკონომიკის სწრაფი ზრდა ხელს უწყობდა მოხმარების დონის ზრდას ქვეყანაში. მომხმარებლები საცალო ვაჭრობის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვდნენ და შედეგად გაჩნდა ინდუსტრიის კონსოლიდაციის საჭიროება. აქციონერთა მხარდაჭერით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა. მაღაზიების ქსელი აგრესიულად გაიზარდა როგორც ორგანული ზრდის, ასევე შესყიდვების მეშვეობით.

2015 წლის აგვისტოში, „ნიკორა ტრეიდი“- ს მიერ „ნუგეშის“ ქსელის შეძენის შემდეგ, „კომპანია“ ქვეყნის უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი გახდა და ამჟამად 5,000-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს და ორგანიზებული საცალო ქსელის ბაზრის 19% უკავია.

ნიკორას ტრეიდის მაღაზიების რაოდენობა:




2014 წელს „ნიკორა ტრეიდა“ სუპერმარკეტების ქსელები „სანდი“ და „კი ბატონო“ შეიძინა.

2015 წელს - „ლიბრეს“ და „ნუგეშის“ შესყიდვა განხორციელდა. „ლიბრეს“ შეძენით „კომპანია“ ჰიპერმარკეტების ბაზარზე შევიდა. ქსელების ინტეგრაციასთან ერთად, „ნიკორა ტრეიდი“ ლიდერი გახდა 8 წამყვან საცალო ქსელს შორის.


„ნიკორა ტრეიდის“ მიერ მაღაზიათა რაოდენობის ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. 2008 წელს კომპანიას 58 სუპერმარკეტი ჰქონდა, ორი წლის შემდეგ - 72, ხოლო 2012 წლისთვის - 85. გაფართოებასთან ერთად, 2014 წელს მაღაზიათა რაოდენობამ 110-ს მიაღწია ხოლო უკვე 2018 წელს 205 შეადგინა (ჯიხურების გარეშე). 2019 წელს კომპანია 263 ობიექტს ფლობდა (ჯიხურების გარეშე).

2019 წლის მდგომარეობით, „ნიკორა ტრეიდი“ სხვადასხვა ფორმატის 288 სავაჭრო ობიექტს მოიცავს, რომელთა ზომა მცირე კიოსკებიდან 1600 კვ.მ.-მდე მერყეობს და ქვეყნის მთელ ტერიტორიას ფარავს. მაღაზიათა დიდი ნაწილი თბილისშია განლაგებული, სადაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს.

სს ნიკორა ტრეიდის მაღაზიების (ჯიხურების გარეშე) რაოდენობა ფართობის მიხედვით:



საშუალო გაყიდვები ერთ კვადრატულ მეტრზე (2015-2019 წელი, ლარი, დღ-ს გარეშე)



„ნიკორა ტრეიდის“ სავაჭრო ფართი 2016-2019 წლებში (კვადრატულ მეტრებში):

	2016	2017	2018	2019
სავაჭრო ფართი (კვ.მ)	20,303	23,757	36,625	47,419

ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის დაახლოებით 20% ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომელთაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

„კომპანიას“ 100-მდე სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

მსხვილი შესყიდვების დროს „ნიკორა ტრეიდი“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი; შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა მიღწეულ იქნას საუკეთესო საბაზრო ფასი.

1.6.3. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში ჰოლდინგი ნიკორა უმთავრესად მისი შვილობილი კომპანიის სს „ნიკორა ტრეიდის“ გაყიდვების ქსელის გაფართოების, დახვეწის და ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით გეგმავს განვითარებას.

დღეისთვის სს ნიკორა ტრეიდი წარმოადგენს დარგის ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობის და გეოგრაფიული განშლის მიხედვით. კომპანია გეგმავს, რომ ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად „კომპანიას“ მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით „კომპანია“ მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „კომპანიას“ თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს.

ზემოთ მოცემული გეგმის ფარგლებში 2020 წელს (მაისის მდგომარეობით) კომპანიამ უკვე გახსნა 21 ახალი სავაჭრო ობიექტი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში

გარდა ამისა კომპანია გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

- ❖ ლოგისტიკა - ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის დაახლოებით 30% ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია გეგმავს ამ მაჩვენებლის გაზრდას და მომავალი ცენტრალიზებული წესით მეტი პროდუქციის შესყიდვას, რაც კომპანიას მისცემს კომერციული პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
- ❖ დისკაუნტერი (discounter store) - ამ კონცეფციის მაღაზიები ახალი მიმართულებაა კომპანიისთვის, რომლის აქტიური განვითარებაც იგეგმება. მსგავსი ტიპის მაღაზიებში სერვისის ნაცვლად აქცენტი კეთდება მაქსიმალურად დაბალ ფასებზე და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. ხოლო ასორტიმენტის პოლიტიკის ქვაკუთხედი ხდება განსხვავებული, ხელმისაწვდომობაზე ორიენტირებული და მოთხოვნილი ასორტიმენტის შეთავაზება. ამ ფორმატის მაღაზიები კომპანიას ბაზრის ახალ სეგმენტებზე გასვლის საშუალებას მისცემს.
- ❖ არასაკვები პროდუქტების კატეგორია (non food) (საყოფაცხოვრებო ქიმიკა, ჰიგიენის საშუალებები საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთები და ა.შ.) - ამ ეტაპისთვისთვის კომპანიაში ეს მიმართულება შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, მაგრამ მომხმარებლებისგან გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ასორტიმენტის სრულყოფისთვის იგეგმება ამ მიმართულების აქტიური განვითარება.
- ❖ გაყიდვების ალტერნატიული არხების განვითარება - პანდემიამ ნათლად აჩვენა გაყიდვების დისტანციური არხების განვითარების აუცილებლობა. ამ ეტაპისთვის კომპანიას უკვე დანერგილი აქვს ელექტრონული გაყიდვები „ჩატ-ბოთის“ საშუალებით. მომავალში იგეგმება ამ მიმართულების დახვეწა-განვითარება. გარდა ამისა აქცენტი კეთდება კორპორატიული გაყიდვების მიმართულებით (HORECA).
- ❖ კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია - კომპანია აქცენტს აკეთებს პროცესების ავტომატიზაციასა და მათი მართვის ციფრულ ფორმატში გატანაზე.

1.7. ფინანსური ინფორმაცია

სს „ნიკორა“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას „ჯგუფში“ შემავალი 15 მოქმედი შვილობილისთვის. სს ნიკორა 100%-იანი წილის მფლობელია თითქმის ყველა კომპანიაში, გამოწვევების: სს ნიკორა ტრეიდი (80.02%), შპს ვაკიჯვრის კალმახი (90.5%), შპს კულინარი (50%), შპს ნიკორა ბაკურიანი (50%) და შპს „მილა საქართველო (50%)“. „ჯგუფი“ სრულად აკონტროლებს ყველა შვილობილი კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობას. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან.

„ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და „ჯგუფი“ მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით 2013 წლიდან. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულად შემოწმებულია შპს „გრანტ თორნტონის“ მიერ, რომელიც არის „Grant Thornton International“-ის წევრი.

1.7.1. ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
გუდვილი	43,618	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	75,467	108,803	126,834
არამატერიალური აქტივები	2,930	2,909	2,428
მსხმოიარე ნარგავები	466	396	516
იჯარით სარგებლობის უფლება	-	-	92,885
სხვა ფინანსური აქტივები	20	158	16
გადავადებული გადასახადის აქტივი			
სულ გრძელვადიანი აქტივები	122,501	155,884	266,297
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მარაგები	45,051	57,876	73,800
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,256	23,273	21,315
სხვა მიმდინარე აქტივები	1,586	1,495	2,466
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	-	182	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	10,734	3,175	3,620
სულ მოკლევადიანი აქტივები	71,627	86,001	101,201
სულ აქტივები	194,128	241,885	367,498

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
სააქციო კაპიტალი	31,258	25,126	24,444
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-1,294	-1,326	-1,326
გადაფასების რეზერვი	12,240	12,240	19,569
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	13,982	24,079	24,231
სულ კაპიტალი და რეზერვები	56,186	60,119	66,918
<i>არამაკონტროლებელი წილი</i>	<i>2,405</i>	<i>4,053</i>	<i>5,898</i>
სულ კაპიტალი	58,591	64,172	72,816
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	14,126	20,434	18,130
საიჯარო ვალდებულება	-	-	86,756
ობლიგაციები	25,660	25,000	52,754
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	39,786	45,434	157,640
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	56,072	83,112	87,999
საიჯარო ვალდებულება	-	-	18,251
სესხები	25,800	22,209	29,045
ობლიგაციები	13,274	26,857	1,302
სახელშეკრულებო ვალდებულება	66	101	195
მიმდინარე გადასახადის ვალდებულება	-	-	250
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	95,751	132,279	137,042
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	194,128	241,885	367,498

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
შემოსავალი	336,255	417,852	540,537
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-231,891	-289,528	-373,118
საერთო მოგება	104,364	128,324	167,419
სხვა შემოსავალი	1,085	986	2,493
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	-50,363	-59,147	-74,365
ადმინისტრაციული ხარჯები	-32,411	-46,305	-64,898
სხვა ხარჯები	-2,901	-539	-1,701
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	19,774	23,319	28,948
ფინანსური ხარჯები	-7,860	-8,525	-19,712
სხვა ფინანსური ხარჯები	-1,926	-2,883	-11,217
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-3,920	-3,357	-3,637
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	6,068	8,554	-5,618
მოგების გადასახადი	-1,140	-1,568	-2,667
წლის მოგება	4,928	6,986	-8,285
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომელიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	4,704	-	7,768
წლის სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გარეშე	4,704	-	7,768
სულ წლის სრული შემოსავალი	9,632	6,986	-517
მოგება მიკუთვნებადი:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე	4,969	6,684	-6,333
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	-41	302	-1,952
მთლიანი შემოსავალი მიკუთვნებადი:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე	9,657	6,684	792
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	-25	302	-1,309

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტარ ლი	გამოსყი დული ჩვეულებ რივი აქციები	გადაფასე ბის რეზერვი	აკუმული რებული მოგება/(ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონ ტროლებ ელი წილი	სულ
2018 წლის 1 იანვარი	31,258	(1,294)	12,240	13,982	56,186	2,405	58,591
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	8,496	8,496	1,304	9,800
სს ნიკორას მიერ სს ნიკორა ტრეიდის აქციების მესამე მხარისთვის მიყიდვის გავლენა	-	-	-	549	549	(549)	-
პრემიუმი შვილობილების აქციების გამოშვებიდან	-	-	-	869	869	591	1,460
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(6,132)	-	-	-	(6,132)	-	(6,132)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	(32)	-	(889)	(921)	-	(921)
დივიდენდები	-	-	-	(5,909)	(5,909)	-	(5,909)
საწარმოთა გაერთიანება	-	-	-	297	297	-	297
ოპერაციები აქციონერებთან	-6,132	-32	-	3,413	-2,751	1,346	-1,405
31 დეკემბერი 2018	25,126	-1,326	12,240	24,079	60,119	4,053	64,172
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	(6,333)	(6,333)	(1,952)	(8,285)
გადაფასების ნამეტი	-	-	7,125	-	7,125	643	7,768
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	7,125	-6,333	792	-1,309	-517
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	2,957	2,957	1,417	4,374
სს ნიკორას მიერ სს ნიკორა ტრეიდის აქციების მესამე მხარისთვის მიყიდვის გავლენა	-	-	-	774	774	(774)	-
პრემიუმი შვილობილების აქციების გამოშვებიდან	-	-	-	8,519	8,519	2,715	11,234
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(682)	-	-	-	(682)	-	(682)
დივიდენდები	-	-	-	(5,749)	(5,749)	-	(5,749)
საწარმოთა გაერთიანება	-	-	204	(16)	188	(204)	(16)
ოპერაციები აქციონერებთან	-682	-	204	6,485	6,007	3,154	9,161
31 დეკემბერი 2019	24,444	-1,326	19,569	24,231	66,918	5,898	72,816

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება


ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
წლის მოგება/(ზარალი)	4,928	6,986	(8,285)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	7,997	10,817	30,983
ფინანსური ხარჯები	7,860	8,525	19,712
მოგების გადასახადის ხარჯი	1,140	1,568	2,667
მარაგების დანაკარგი	3,449	7,984	12,844
საექვო მოთხოვნების ხარჯი	23	-	31
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	1,926	2,883	11,217
<i>საოპერაციო მოგება საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<i>27,323</i>	<i>38,763</i>	<i>69,169</i>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(3,114)	(9,044)	1,952
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(16,546)	(20,809)	(28,768)
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში	284	91	(971)
ცვლილება სხვა ფინანსურ აქტივებში	(4)	6	(2)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	12,049	22,706	3,577
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში	(19)	35	94
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>19,973</i>	<i>31,748</i>	<i>45,051</i>
გადახდილი პროცენტი	(7,771)	(8,165)	(17,090)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,400)	(1,750)	(2,235)
<i>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>10,802</i>	<i>21,833</i>	<i>25,726</i>
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(11,490)	(40,307)	(25,080)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(786)	(883)	(397)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	1,819	1,293	898
არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული	-	-	131
გაცემულ სესხებიდან მიღებული ფული	-	(144)	144
მსხმოიარე ნარგავების შეძენა	-	70	(31)
შვილობილის შესყიდვისთვის გადახდილი ფული	-	(635)	-
<i>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო აქტივებებში</i>	<i>(10,457)</i>	<i>(40,606)</i>	<i>(24,335)</i>
<i>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</i>			
სესხებიდან მიღებული ფული	181,844	230,384	269,920
სესხებზე გადახდილი ფული	(198,335)	(229,119)	(267,885)
ობლიგაციებიდან მიღებული ფული	23,775	25,000	27,740
ობლიგაციებზე გადახდილი ფული	-	(12,540)	(28,791)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული	-	-	(10,821)
შვილობილის წილის გაყიდვიდან მიღებული ფული	13,025	10,349	15,625
გადახდილი დივიდენდები	(7,760)	(5,909)	(5,749)
ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვა	-	(32)	-
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(5,177)	(6,132)	(682)
<i>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</i>	<i>7,372</i>	<i>12,001</i>	<i>(643)</i>
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულადი ნაკადებისა და ფულის საბანკო ანგარიშებზე	7,717	(6,772)	748
უცხოური ვალუტის გავლენა ფულზე	2,978	(787)	(303)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	39	10,734	3,175
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	10,734	3,175	3,620

1.7.2. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

აქტივები


2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა ლ367.5 მილიონი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი ლ241.9 მილიონს შეადგენდა. ხოლო 2016 წელთან შედარებით ეს კუმულაციურ 31.8%-იან წლიურ ზრდას წარმოადგენს (2019 წელს წარმოქმნილი იჯარით სარგებლობის უფლების აქტივების გარეშე 19.6% ზრდა). აქტივების ზრდა შედეგია „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების მიერ როგორც ინვესტიციების განხორციელებით - პირველ რიგში კი, სს ნიკორა ტრეიდის სუპერმარკეტების ქსელის გაფართოებაში, ასევე გაზრდილი ბრუნვისთვის საჭირო მიმდინარე აქტივების მატების.

აქტივების ზრდა და განაწილება



ძირითადი საშუალებები წარმოადგენს აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (35%). მიწის და შენობების ღირებულება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა) დამოუკიდებელი, შესაბამისი სერტიფიცირების მქონე, შემფასებლის მიერ დგინდება. ბოლოს ასეთი შეფასება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის განხორციელდა „ვეგა რიალ ისთეით“-ის მიერ საერთაშორისო შეფასების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად (International Valuation Standards Committee 2013 - IVSC, მეთოდი გამოცემა).

ძირითადი საშუალებების შემადგენლობა



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივების 20%-ს შეადგენს. 2018 წელთან შედარებით მარაგების მოცულობა მნიშვნელოვნად, 28%-ით გაიზარდა, რაც განპირობებულია კომპანიის გაყიდვების არსებითი ზრდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2017	2018	2019
ღირებულება (ათასებში)	45,051	57,876	73,800
წილი მოკლევადიან აქტივებში	63%	67%	73%
წილი სრულ აქტივებში	23%	24%	20%

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. 2019 წლის ბოლოსთვის სავაჭრო ვალდებულებები ჯამური მოკლევადიანი ვალდებულებების 64%-ს შეადგენდა. ამასთან, თანხობრივი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ნიკორა ტრეიდის საქმიანობის გაფართოებით და ეფექტიანობით. გაფართოებული პლატფორმა კომპანიის პოზიციებს აძლიერებს და აძლევს საშუალებას უკეთესი პირობები მიიღოს სავაჭრო პარტნიორებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები	2017	2018	2019
ღირებულება (ათასებში)	56,072	83,112	87,999
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	59%	63%	64%

სესხები და ობლიგაციები

სესხები:

ათას ლარებში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2019
საბანკო სესხები	22,209	29,045	20,434	18,130
ოვერდრაფტი	-	-	-	-
სულ	22,209	29,045	20,434	18,130

საბანკო სესხები არის 1-დან 5 წლამდე ვადიანობის; სესხების ნაწილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთითაა, ხოლო ნაწილი ცვალებადით, მიბმული 6 თვიანი EURIBOR-ის განაკვეთზე.

საბანკო სესხების რეალური ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

ობლიგაციები:

2019 წლის 28 ივნისს, სს ნიკორამ დააკმაყოფილა ვალდებულებები ჯგუფის ობლიგაციების მფლობელების მიმართ 30,045 ათასი ლარის ოდენობით.

2019 წლის 18 ოქტომბერს ქართულმა საბროკერო კომპანიამ, შპს „თიბისი კაპიტალმა“, როგორც საბროკერო აგენტმა, სს ნიკორასთვის გამოუშვა 28 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 4%+3თვის TIBR (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 11.16%) და ვადიანობა შეადგენს 3 წელს. სარგებლის გადახდა წარმოებს კვარტალურად.

2018 წლის 6 აგვისტოს, საბროკერო კომპანია შპს „თიბისი კაპიტალმა“, როგორც საბროკერო აგენტმა გამოუშვა სს ნიკორა ტრეიდისთვის 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები: წლიური სარგებელი 4%+ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი, კვარტალური გადახდით და 3 წლიანი ვადით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსურ ინფორმაციას ობლიგაციებზე:

ათას ლარებში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2019
ობლიგაციების ძირი	26,696	-	25,000	52,754
საპროცენტო გადასახდელები	161	1302	-	-
ობლიგაციებზე	26,857	1,302	25,000	52,754

სს ნიკორას ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს კონსოლიდირებული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებას, კერძოდ:

- 1) Debt/EBITDA - კოეფიციენტი არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი 2019 წლის შედეგების მიხედვით;
- 2) ICR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 2.8-ზე ნაკლები 2019 წლის შედეგების მიხედვით;
- 3) DSCR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები 2019 წლის შედეგების მიხედვით.

კოეფიციენტები იანგარიშება სს ნიკორას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯგუფი აკმაყოფილებს ყველა კოეფიციენტს.

ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

იჯარები აღრიცხული ფასს 16-ის თანახმად

საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება:

ათას ლარში	2018	2019
მოკლევადიანი	-	18,251
გრძელვადიანი	-	86,756
	-	105,007

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც იჯარის გამოყენების უფლების აქტივი და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახადელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობენ საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში.

თითოეული იჯარა აწესებს ზოგად შეზღუდვას, რომ თუკი კომპანიას ხელშეკრულებით არ აქვს აქტივის ქვეიჯარით გაცემის უფლება, აქტივით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ კომპანიას. იჯარა ან არაგაუქმებადია, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში. ზოგიერთი იჯარა შეიცავს იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კომპანიის საიჯარო აქტივობების ბუნებას:

იჯარით სარგებლობის უფლება	საიჯარო აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	დარჩენილი იჯარის საშუალო ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძელების უფლებით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
შენობები	4	4	4	4	-
მაღაზიები	263	1-10	5	263	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ათას ლარში	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2018 წლის 31 დეკემბერ	2019 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	-	-27,799
ფინანსური ხარჯები	-	9,548
	-	-18,251
ორიდან ხუთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	-	-85,804
ფინანსური ხარჯები	-	21,717
	-	-64,087
ხუთი წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	-	-26,417
ფინანსური ხარჯები	-	3,748
	-	-22,669
წმინდა დღევანდელი ღირებულება	-	-105,007

კომპანია არ აღიარებს საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვეანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარი საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, მათი გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ათას ლარში	2019
მოკლევადიანი იჯარა	529
დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარა	524
იჯარები ცვლადი საიჯარო გადახდებით	2,610
	3,663

ცვლადი საიჯარო გადახდები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისთანავე.

ცხრილში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია იჯარით სარგებლობის აქტივების შესახებ მათი კლასების მიხედვით:

ათას ლარში	საბალანსო ღირებულება	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
შენობები	3,091	722	-
მაღაზიები	89,794	15,800	-
მოთიანი აქტივების გამოყენების უფლება	92,885	16,522	-

კაპიტალი

ჯგუფის სათაო კომპანიის, სს “ნიკორას”, სააქციო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,470,588 ცალ ჩვეულებრივ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 171 ცალ პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, სულ სააქციო კაპიტალი შეადგენს 24,444 ათას ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 25,126 ათასი ლარი; შემცირების დეტალების შესახებ იხ. 1.7.3. პუნქტი).

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

აქციონერები, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული ტიპის აქციების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	აქციის ტიპი	წილი % (ჩვ. აქციებში)	ხმის უფლება %	კაპიტალი ლ
სუბიანვილი ვასილ	1,876,471	ჩვეულებრივი	29.0	29.0	1,876,471
სს ნიკორა	1,326,471	ჩვეულებრივი	20.5	20.5	1,326,471
გუბანოვი ოლეგ	1,035,293	ჩვეულებრივი	16.0	16.0	1,035,293
დუმბაძე დავით	711,765	ჩვეულებრივი	11.0	11.0	711,765
სხვა	1,520,588	ჩვეულებრივი	23.5	23.5	1,520,588
სულ ჩვეულებრივი აქციები	6,470,588		100.0	100.0	6,470,588

აქციონერი	აქციების რაოდენობა	აქციის ტიპი	წილი % (პრივ. აქციებში)	ხმის უფლება %	კაპიტალი ლ
გალტ & თაგარტ	40	პრივილეგირებული	25.5	-	4,893,565
PELICAN VENTURES CORP	20	პრივილეგირებული	12.7	-	2,692,200
LLC Park Capital	20	პრივილეგირებული	12.7	-	2,031,600
Agrovin LLC	8	პრივილეგირებული	5.1	-	960,800
სხვა	69	პრივილეგირებული	43.9	-	7,395,635
სს ნიკორა	14	პრივილეგირებული	-	-	-
სულ პრივილეგირებული აქციები	171		100.0		17,973,800

1.7.3. აქციების გამოსყიდვა

2019 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გამოსყიდულ იქნა 28 ერთეული პრივილეგირებული აქცია (რომელთა ნომინალური ღირებულება (ერთეულის) 50,000 აშშ დოლარს შეადგენს). აღნიშნული ტრანზაქციების შედეგად ჰოლდინგის სააქციო კაპიტალი 682 ათასი ლარით შემცირდა.

პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვას და საჭიროების შემთხვევაში გასხვისებას, კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს როგორც ერთგვარი ფინანსური ინსტრუმენტის ბერკეტის მიზნით, კაპიტალის ეფექტიანად მართვის, ლიკვიდურობის და უკუგების მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის.

1.7.4. კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

შემოსავალი:

„ნიკორა ჯგუფის“ ბრუნვა მოიცავს კლიენტებზე განხორციელებულ გაყიდვებს „ჯგუფში“ შემავალი 15 შვილობილის (მოქმედი) მიერ. „ჯგუფის“ გაყიდვებში (ელიმინაციამდე) შვილობილებს შორის ყველაზე მეტი წვლილი საცალო ვაჭრობის (61%) და ხორცის წარმოების (19%) ბიზნესებს აქვს. 2019 წელს ჯგუფის კონსოლიდირებულმა გაყიდვებმა 540.5 მილიონი შეადგინა, რაც 29.4%-ით მეტია წინა წელს დაფიქსირებულ 417.9 მილიონთან შედარებით:

ათასი ლარი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
საქონლის რეალიზაცია	336,233	417,780	540,402
შემოსავალი იჯარებიდან	22	73	99
სხვა შემოსავალი	-	-	36
სულ შემოსავალი	336,255	417,853	540,537

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო მოგება:

ათასი ლარი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
სულ შემოსავალი	336,255	417,853	540,537
გაყიდული საქონლის შესყიდვის ხარჯები	146,348	203,484	295,614
პირდაპირი მასალები	72,316	73,946	59,568
თანამშრომელთა ხელფასები	6,798	5,694	8,537
კომუნალური ხარჯი	1,800	1,636	2,428
ცვეთა	1,856	1,970	3,088
დამატებითი მასალები	753	779	1,270
იჯარა	1,295	889	340
რემონტი	408	491	524
გადაზიდვა	19	14	2
სხვა	298	625	1,747
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	231,891	289,528	373,118
საერთო მოგება	104,364	128,325	167,419
საერთო მოგების მარჟა	31.0%	30.7%	31.0%

შემოსავალი 29.4%-ით გაიზარდა, ხოლო რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 28.9%-ით, შედეგად, საერთო მოგების მარჟა 0.3 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და 2019 წელს 31.0% შეადგინა.

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან:

<i>ათასი ლარი</i>	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
სულ შემოსავალი	336,255	417,852	540,537
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-231,891	-289,528	-373,118
საერთო მოგება	104,364	128,324	167,419
სხვა შემოსავალი	1,085	986	2,493
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	-50,363	-59,147	-74,365
ადმინისტრაციული ხარჯი	-32,411	-46,305	-64,898
სხვა ხარჯი	-2,901	-539	-1,701
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	19,774	23,319	28,948
<i>საოპერაციო მოგების მარჟა</i>	<i>5.9%</i>	<i>5.6%</i>	<i>5.4%</i>

საოპერაციო მოგება 14.1%-ით გაიზარდა, თუმცა საოპერაციო მოგების მარჟა 5.6%-დან 5.4%-მდე შემცირდა. გაზრდილია დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები, აღნიშნული პუნქტი მოიცავს ფასს 16-ის მიხედვით იჯარით სარგებლობის აქტივის ცვეთას, (აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლა განხორციელდა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომის საფუძველზე - კუმულაციური ეფექტის 2019 წლის 1 იანვარს ასახვით, რის გამოც წინა პერიოდები არ შეცვლილა), შესაბამისად მნიშვნელოვნად გაზრდილია დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯებიც (მხოლოდ იჯარის უფლების აქტივის ცვეთის დარიცხვის შედეგად 15,800 ათ. ლარით), რამაც განაპირობა მარჟის შემცირება.

დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი:

დისტრიბუციისა და მარკეტინგის დანახარჯები მოიცავს მაღაზიის კონსულტანტების, მოლარეების და სავაჭრო მაღაზიის სხვა თანამშრომლების ხელფასს, აგრეთვე მარკეტინგისა და დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასს. დისტრიბუციისა და მარკეტინგის დანახარჯები აგრეთვე მოიცავს სავაჭრო მაღაზიის შენობების, თაროების, მაცივრებისა და მაღაზიის სხვა აღჭურვილობის, სადისტრიბუციო მანქანების ცვეთას ასევე იჯარით სარგებლობის აქტივის ცვეთას და სხვა გაყიდვასთან, მარკეტინგთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებულ ხარჯებს:

<i>ათასი ლარი</i>	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
იჯარის ხარჯი	-17,199	-17,600	-2,178
პერსონალის ხარჯი	-15,747	-19,976	-26,241
ცვეთა	-3,033	-4,887	-22,525
მარკეტინგული ხარჯი	-11,539	-13,571	-19,580
დისტრიბუცია	-2,845	-3,113	-3,841
სულ დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	-50,363	-59,147	-74,365

ადმინისტრაციული ხარჯები:

ათასი ლარი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
პერსონალის ხარჯი	-17,971	-23,598	-29,696
მარაგების ჩამოწერის და დანაკარგების ზარალი	-4,753	-7,984	-12,844
ცვეთა	-3,108	-3,960	-5,369
საბანკო ხარჯები	-1,282	-1,564	-2,404
რემონტი	-926	-2,109	-2,652
საკონსულტაციო	-1,583	-2,357	-2,100
საოფისე ხარჯი	-1,266	-1,816	-2,917
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	-407	-420	-476
იჯარის ხარჯი	-614	-546	-774
კომუნალური	-501	-730	-501
სხვა ხარჯი	0	-1,221	-5,165
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	-32,411	-46,305	-64,898

არასაოპერაციო ხარჯები და წმინდა მოგება:

ათასი ლარი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	19,774	23,319	28,948
ფინანსური ხარჯები	-7,860	-8,525	-19,712
სხვა ფინანსური ხარჯები	-1,926	-2,883	-11,217
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-3,920	-3,357	-3,637
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	6,068	8,554	-5,618
მოგების გადასახადი	-1,140	-1,568	-2,667
წლის მოგება	4,928	6,986	-8,285
ძირითადი საშუალებების გადაფასება	4,704	-	7,768
სულ წლის სრული შემოსავალი	9,632	6,986	-517

ფინანსური და არასაოპერაციო ხარჯები ჯამურად 134.1%-ით, 19.8 მლნ ლარით გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებულია ფასს 16-ის მიხედვით საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯით (9,821 ათ. ლარით) და სავალუტო სხვაობებით გამოწვეული ზარალით (ჯამურად 8,334 ათ. ლარით ხარჯის ზრდით, მათ შორის საიჯარო ვალდებულების გადაფასებით მიღებული საკურსო სხვაობა 6,228 ლარით ზარალით).

1.8. ფინანსური რისკების მართვა

1.8.1. საბაზრო რისკი

„კომპანიის“ საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომლებიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ტრანზაქციების უმეტესობა ლარებში ხორციელდება, საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია საიჯარო ვალდებულებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს ჯგუფის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

ათას ლარში	2018		2019	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	234	85	826	659
ფული და ბანკის ბალანსები	2	-	9	-
სულ ფინანსური აქტივები	236	85	835	659
სესხები	19,941	2,611	3,027	3,086
საიჯარო ვალდებულება	-	-	94,381	571
ობლიგაციები	26,696	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,687	3,988	1,931	3,533
სულ ფინანსური ვალდებულებები	49,324	6,599	99,339	7,190
წმინდა პოზიცია	-49,088	-6,514	-98,504	-6,531

ამჟამად სს ნიკორა და ჯგუფში შემავალი კომპანიები არ ახდენენ უცხოური ვალუტის რისკების ჰეჯირებას. საილუსტრაციოდ, შემდეგ ცხრილში მოცემულია გაცვლითი კურსის თეორიული 15%-ანი გამყარების შედეგი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე:

ათას ლარში	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2019	2018	2019
მოგება-ზარალი	7,363	14,776	977	980

ჯგუფს გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც ფიქსირებული, ასევე ცვალეზადი განაკვეთით. ჯგუფის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის სესხების შერევით.

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთებზე გაიზრდებოდა/შემცირდებოდა, ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით, რომლებიც დამოკიდებულია ლიბორზე და ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე.

1.8.2. საკრედიტო რისკი

„კომპანიის“ საკრედიტო რისკი ჩნდება კონტრაქტებისგან, რომელთა მიმართაც „კომპანიას“ სავაჭრო მოთხოვნები გააჩნია. კონტრაქტების მიერ დათქმულ დროს ვალდებულებების გადაუხდელობამ „კომპანიისთვის“ შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. „ნიკორა“ ამ რისკს მართავს სავაჭრო მოთხოვნებში ზედმეტი კონცენტრაციის თავიდან აცილების გზით: მაგალითად შპს მულტიტრეიდს ძირითადი საქმიანობა მიმდინარეობს 6-7 მსხვილ კლიენტთან, ინტრეიდი და პარტნიორი ვაჭრობენ 250 მაღაზიასთან, წარმოების ძირითადი გაყიდვები კი ჯგუფის შიგნით ხდება. კონტრაქტის რისკი საბანკო ბალანსებთან მიმართებაში თავიდან არის აცილებული, რადგან საბანკო ანგარიშები მსხვილ ბანკებშია განთავსებული.

მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
მოთხოვნები	23,273	21,315
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,175	3,620
	26,448	24,935

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება:		
სესხები	42,643	47,175
ობლიგაციები	51,857	54,056
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	67,941	86,379
საიჯარო ვალდებულებები	0	105,007
	162,441	292,617
წმინდა პოზიცია	135,993	267,682

1.8.3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან და აქტივების და ვალდებულებების ვადიანობაში არსებული განსხვავებებით არის გამოწვეული. „კომპანია“ ამცირებს ამ რისკს ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნებიდან შემოძინებების მკაცრი მართვით. ჯგუფი ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით (მათ შორის ძირიც და პროცენტიც), დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება:

2019	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	საიჯარო ვალდებ ულება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
6 თვეზე ნაკლები	86,379	13,602	11,427	2,065	113,473
6 თვიდან 1 წლამდე	-	13,618	6,067	567	20,252
1-5 წლამდე	-	84,986	78,518	12,262	175,766
5 წელზე მეტი	-	26,417	135	520	27,072
	86,379	138,623	96,147	15,414	336,563

1.8.4. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს.

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	64,172	72,816
გამოკლებული ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	-3,175	-3,620
კაპიტალი	60,997	69,196
მთლიანი კაპიტალი	64,172	72,816
სესხები და ობლიგაციები	94,500	101,231
საიჯარო ვალდებულება	-	105,007
სრული მოზიდული სახსრები	158,672	279,054
კაპიტალის თანაფარდობა სრულ მოზიდულ სახსრებთან	0.38	0.25

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსი საქართველოში დღემდე არ არის მიღებული საკანონმდებლო დონეზე და შესაბამისად ქართული კომპანიები არ არიან ვალდებული დაიცვან ის კორპორატიული მართვის პროცედურები, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, კომპანიას, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ საწარმოს, შექმნილი აქვს კორპორატიული მართვის კოდექსი საზოგადოების წესდების ფარგლებში, რომელიც მოიცავს კორპორატიული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს; საზოგადოების წესდება საჯაროა, კერძოდ განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ყველა თანმდევი ცვლილების ნახვა;

2.1. მმართველობის ორგანოები

საზოგადოების უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის ფუნქციებს ასრულებს გენერალური დირექტორი.

2.1.1. პარტნიორთა საერთო კრება

საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ, საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში, სხვა შემთხვევებში მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება წესდებით განსაზღვრული პირების მიერ.

საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) შეცვალოს საზოგადოების წესდება, მათ შორის, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, შეიტანოს სხვა ცვლილებები საზოგადოების წესდებაში, გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;

- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის, ან გარდაქმნის შესახებ;
- გ) მთლიანად, ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის გაზრდის დროს, აგრეთვე, საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას.
- დ) მიიღოს, ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ; ამასთან, აქციონერებს შორის დივიდენდის განაწილება მოხდება ყოველწლიურად, თუ აქციონერთა საერთო კრება არ მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების გაუნაწილებლობის თაობაზე;
- ე) აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში და გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;
- ვ) დაამტკიცოს გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
- ზ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- თ) აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი;
- ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას.
- ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღების ან/და უზრუნველყოფის თაობაზე, რომლებიც აღემატება 20 (ოცი) მილიონ ლარს;

უფლების განხორციელების წესი

აქციონერთა კრების ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის, განსაზღვრულია აქციების მფლობელების მიერ გადაწყვეტილების მიღების ხმათა სხვადასხვა პროცენტული რაოდენობები, რომელიც მერყეობს ხმის უფლების მქონე კაპიტალის 50%- 75%- ზე მეტი აქციების მფლობელთა რაოდენობებს შორის, თუ კონკრეტულ შემთხვევაში კანონით სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული;

ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გარდა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს გენერალური დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქციონერთა უფლებამოსილებები:

საზოგადოების აქციონერს უფლება აქვს:

- ა) პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას და ჩვეულებრივი აქციის შემთხვევაში - მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში;
- ბ) იქონიოს ერთი ხმა აქციონერთა კრებაზე ყოველ მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებულ აქციაზე, გარდა პრივილეგირებული აქციისა, რომელიც არ იძლევა ხმის უფლებას;
- გ) ინფორმირებული იქნას საერთო კრების ჩატარებისა და მათზე განსახილველი საკითხების თაობაზე;
- დ) გასანაწილებელი მოგებიდან მიიღოს დივიდენდი მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად, ხოლო პრივილეგირებულ აქციებთან მიმართებაში დადგენილი განაკვეთით;

ე) გასახვისოს ან შეიძინოს აქციები მთლიანად, ან ნაწილობრივ; ნებისმიერი კლასის აქციების დაგირავების, გასახვისებისთვის ან მესამე პირზე სხვა ფორმით გადაცემისთვის აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების წინასწარი თანხმობა, საერთო კრების თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში თუ აქციის სრულად გასახვისება/დაგირავება/გადაცემა ხდება საზოგადოებაზე. აქციონერთა კრების მიერ თანხმობის გაცემის შემდეგ ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება წესდებით გათვალისწინებული წესით.

ვ) მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით;

ზ) სამეთვალყურეო საბჭოსგან მოითხოვოს იმ საკითხების დაზუსტება, რომლებიც შედის აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში;

თ) მოსთხოვოს განმარტებები გენერალურ დირექტორსა (დირექტორებს) და სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო და გამოთქვას თავისი აზრი.

ი) გაასაჩივროს საერთო კრების, დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) შეიტანოს სარჩელი ან შეგებებული სარჩელი მესამე პირის მიმართ, თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ. აღნიშნული უფლების მატარებელია მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მქონე აქციონერი;

ლ) საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერები უფლებამოსილნი არიან:

მოითხოვონ ინფორმაცია, ან დოკუმენტაცია საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შესახებ; მოითხოვონ საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის, ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. თუ საერთო კრება არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, მაშინ აქციონერებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს; მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა. მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იქნას წერილობით. თუ კრება არ იქნება მოწვეული მოთხოვნიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, აქციონერებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საზოგადოების ადგილსამყოფელის შესაბამისად; მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების თაობაზე.

2.1.2. სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 7 (შვიდი) წევრისაგან.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების ვადა გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც მორიგი საერთო კრების მოწვევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია შემდეგია:

ა) კონტროლი გაუწიოს გენერალური დირექტორ(ებ)ის საქმიანობას; მოითხოვოს გენერალური დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების საღარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. მასვე შეუძლია აღნიშნული უფლებამოსილებანი დაავალოს საბჭოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

გ) მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, თუ ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს;
დ) შეამოწმოს წლიურ ანგარიშები, მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;
ე) დანიშნოს და გამოიწვიოს საზოგადოების გენერალური დირექტორი;

ამასთან, გენერალურმა დირექტორმა (დირექტორებმა) მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- ა) საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ბ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
- გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების მიღება;
- დ) სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს.
- ე) სესხების და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას და აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ.
- ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
- ზ) სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი (ზოგადი) პრინციპების დადგენა;
- თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- ი) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;
- კ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- ლ) საზოგადოების ქონებისა შეძენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს.
- მ) წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

თავმჯდომარე/წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01015005694, 06.04.1968 გურამ ცერცვაძე
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01015002814, 05.09.1971 ირაკლი ნიკოლაიშვილი
წევრი: 01008004852, 28.02.1957 დავით დუმბაძე
წევრი: 01013004932, 08.05.1969 დავით ცირეკიძე
წევრი: 33001005416, 24.09.1966 გელა არობელიძე
წევრი: პასპორტი ნომერი: 71 7143091, 27.12.1967 ოლეგ გუბანოვი;

სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები წლის განმავლობაში საშუალოდ ტარდება 10-ჯერ.

აუდიტის კომიტეტი:

2017 წლის აგვისტოდან სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს:

- ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
- ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
- გ) ფინანსური ანგარიშგების/ კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
- დ) აუდიტის/ აუდიტორული კომპანიის დამოუკიდებლობას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- ე) აუდიტის კომიტეტი ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში კომიტეტის მონაწილეობის შესახებ.

აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან:

- ა) თავმჯდომარე: 33001005416, 24.09.1966 გელა არობელიძე
- ბ) წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი
- გ) წევრი: 01015005694, 06.04.1968 გურამ ცერცვაძე

2.1.3. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება გენერალურ დირექტორს.

გენერალური დირექტორი:

- ა) საზოგადოებას წარმოადგენს სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში და პასუხს აგებს საზოგადოების ყოველდღიურ მართვაზე;
- ბ) საზოგადოების სახელით დებს გარიგებებს;
- გ) განკარგავს საზოგადოების სახსრებსა და ქონებას, წარმოადგენს საზოგადოებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გასცემს მინდობილობებს;
- დ) უზრუნველყოფს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზუსტ და დროულ აღსრულებას;
- ე) ვალდებულია წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობისა და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- ვ) ადგენს საზოგადოების წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად.
- ზ) ვალდებულია საზოგადოების საქმეები წარმართოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და აქციონერთა გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- თ) ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით განახორციელოს ის ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების თანახმად საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას. თანხმობა მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით.
- ი) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს;
- კ) საზოგადოების თანამშრომლებს განუსაზღვრავს დისციპლინური სახდელისა და წახალისების ფორმებს;

- ლ) ამტკიცებს საზოგადოებისა და მისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების საშტატო განრიგს;
- მ) განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს;
- ნ) ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების შინაგანაწესს;
- ო) ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს;

საზოგადოების გენერალური დირექტორია ირაკლი ბოჭოლიშვილი

ბატონი ირაკლი ბოჭოლიშვილი „ნიკორა ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როდესაც იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. მან 1985 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1989 წელს დაიცვა დისერტაცია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკურ მოდელირებაში. არის 21 სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი. 1989-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 1993-2010 წლებში იყო სს „ბაზის ბანკის“ დამფუძნებელი, სადაც მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. მას აგრეთვე გააჩნია მაგისტრის ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა

დღეის მდგომარეობით არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია, რომელიც კომპანიას ავალდებულებს წევრების მიმართ გაატაროს დივერსიფიკაციის პოლიტიკა, ასაკის, სქესის, კვალიფიკაციის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით; კომპანია წევრებს შეარჩევს სხვადასხვა კრიტერიუმით, რომელიც ემყარება კომპანიის უმაღლესი ორგანოს - პარტნიორთა კრების შეფასებას კონკრეტულ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს, პოზიციისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; აღნიშნულის შესაბამისად, საზოგადოებაში არ მოქმედებს წინასწარ დადგენილი რაიმე სახის პოლიტიკა ან ერთიანი პრაქტიკა;

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა

საზოგადოების აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს არ წარმოადგენს;

3. არაფინანსური ანგარიშგება


3.1. დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა

კომპანია „ნიკორა ჰოლდინგი“ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ბაზარზე. ჰოლდინგი აერთიანებს დედა კომპანიას სს „ნიკორას“ და 15 შვილობილ (მოქმედი) კომპანიას, თითოეული შვილობილი კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. ჰოლდინგში შემავალი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებით დაკომპლექტებას, თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი. ჰოლდინგის დედა კომპანიის სს „ნიკორა“-ს სტრუქტურაში ერთ-ერთ ქვედანაყოფს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზებულია, ექვემდებარება ჰოლდინგის გენერალურ დირექტორს და ახორციელებს ჰოლდინგში შემავალი ყველა შვილობილი კომპანიის ადამიანური რესურსების მართვას, გარდა სს „ნიკორა ტრეიდისა“. ჰოლდინგის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი შვილობილი კომპანია სს „ნიკორა ტრეიდი“ ახორციელებს კომპანიის კუთვნილი სავაჭრო ობიექტების მართვას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანიის მასშტაბისა და საჭიროებიდან გამომდინარე 2017 წლის ნოემბრის თვიდან სს „ნიკორა ტრეიდის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ჰოლდინგის ცენტრალიზებული არმ-დეპარტამენტისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს სს „ნიკორა ტრეიდის“ HR-საქმიანობას, თუმცა პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება და აგრეთვე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება სს „ნიკორას“ ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურულ ერთეულთან მჭიდრო კოორდინაციის და შეთანხმების შედეგად.

ადამიანური რესურსების მართვის ორივე ქვედანაყოფის მიზანს წარმოადგენს: ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას, შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი, მოიზიდოს მაღალკვალიფიციური კადრები, გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შესაბამისად შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შეძლოს ის, რომ კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები იყოს ურთიერთთანხვედრაში. ორივე სტრუქტურული ქვედანაყოფი მუშაობს აქტიურად კადრების შენარჩუნებასა და პარალელურ რეჟიმში, აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ კომპანიის განვითარების ტემპი არ შეფერხდეს, დროულად იქნას უზრუნველყოფილი ახალი საკადრო რესურსის მოძიება და მათი კომპანიაში დროული ინტეგრირება, რაც თავისთავად ხელს უწყობს დასახული მიზნების დროულად განხორციელებას. კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება შესაბამისი პროცედურების დაცვით.


კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას. შესაბამისად, „ნიკორა“ ჰოლდინგში, კომპანიის

განვითარებასთან ერთად, თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად ზრდადია. მაგალითისათვის:



გენდერული თანასწორობის კუთხით მდგომარეობა დაბალანსებულია, მდედრობითი სქესის, ისევე როგორც მამრობითი სქესის თანამშრომლები სარგებლობენ თანაბარი პირობებით და შესაძლებლობებით. შესაბამისად, აქვთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. თანამშრომლის დაქირავების პროცესში ყურადღება ექცევა და აქცენტები კეთდება კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობასა და კვალიფიკაციაზე, განურჩევლად სქესისა.

რაც შეეხება დასაქმებულთა ასაკობრივ განაწილებას, 31.12.2019 წლის მდგომარეობით არის შემდეგი:



კომპანიაში არსებულ თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება კადრის დაქირავება. ჰოლდინგში მუშაობს რამდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელფასო სპეციფიკიდან გამომდინარე:

- წარმოებებსა და სასაწყობე მეურნეობის მიმართულებით;
- დისტრიბუციის მიმართულებით;
- ასევე, სავაჭრო მიმართულებით შემუშავებულია თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამუშაო გრაფიკებისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში შპს „ნიკორას“ ბაზაზე დაინერგა თანამშრომელთა შეფასების სისტემა. წარმატებით შედგა ამ კომპანიის თანამშრომელთა 2018 და 2019 წლის შეფასების პროექტები, მოხდა შედეგების დათვლა/დანაგარიშება და აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება სამოტივაციო პროგრამა იმ თანამშრომლებზე, რომლებმაც წარმატებით გაიარეს და დადებითად შეფასდნენ როგორც 2018 ასევე, 2019 წლის შესრულებული სამუშაოების მიხედვით. თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება სამ ძირითად კომპონენტზე დაყრდნობით: ცოდნის, პიროვნული და დისციპლინარულ ნაწილში.

ამჟამად, მიმდინარეობს 2019 წლის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით განმავითარებელ პროექტზე მუშაობა, რაც გულისხმობს თანამშრომლების როგორც პიროვნული უნარების, ასევე ცოდნის განვითარებას. შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი გახლავთ პიროვნული ნაწილი, სადაც თანამშრომელს აფასებს მისი უშუალო ხელმძღვანელი/ები შეფასების შედეგად დგება თითოეული თანამშრომლის პროფილის ბადე, სადაც მკაფიოდ ჩანს და ვლინდება ამ კონკრეტული პიროვნების სუსტი და ძლიერი მხარეები, სწორედ სუსტი მხარის რომელიც შეიძლება იყოს კომუნიკაცია, ოპერატიულობა, პასუხისმგებლობა და სხვა. ამ მიმართულებით იგეგმება განმავითარებელი ტრენინგების ჩატარება ჰოლდინგის შიდა ტრენინგის ბაზაზე.

მიზნად ვისახავთ შეფასების ეს კონკრეტული სისტემა მორგებულ იქნას სხვა შვილობილ კომპანიებზე და 2021 წელს განხორციელდეს ატესტაციისა და შეფასების სისტემის დანერგვა მათთანაც. ასევე, მიზნად ვისახავთ 2021 წლისათვის შევიმუშავოთ დისტრიბუციის მიმართულებით სამოტივაციო სისტემა, რაც დისტრიბუციის ნაწილში დასაქმებულ თანამშრომლებს მეტად პროდუქტიულს გახდის და მოტივაციას შემატებთ მათ.

ჩვენი მიზანია, გამართული შეფასების სისტემის საფუძველზე, შევქმნათ და დავნერგოთ გამჭირვალე, ობიექტური და თანამშრომლებისათვის მისაღები სამოტივაციო სისტემა.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა კომპანიაში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირებისა და ზოგადი კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვა და სხვა კორპორატიული პროექტები: კორპორატიული ღონისძიება, სადღესასწაულო დღეების მილოცვა, სხვა და სხვა სპორტული აქტივობები, რომელიც შეჯიბრის სახით ტარდება შვილობილ კომპანიებს შორის, საზაფხულო ექსკურსიები, გუნდურობისა და თანამშრომლებში კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით არაერთი ღონისძიება და თიმბილდინგი ჩატარებულა. გასული ორი წლის განმავლობაში ზაფხულის პერიოდში, ქალაქგარეთ, არაოფიციალურ გარემოში, ტარდებოდა თიმბილდინგ-აქტივობები, სადაც თანამშრომლები ერთვებოდნენ სხვა და სხვა გუნდურ თამაშებში, სხვა და სხვა სპორტულ-გასართობ შეჯიბრებში და უწყვედად გარკვეული წინააღმდეგობების ერთობლივად დაძლევა. თიმბილდინგი ეხმარება თანამშრომლებს გუნდურად მუშაობის პრინციპის ჩამოყალიბებაში, ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და ურთიერთობების გაუმჯობესებაში. 2020 წლის ჭრილშიც დაგეგმილი იყო ანალოგიური პროექტის განხორციელება, თუმცა პანდემიის შედეგად პროექტი შეჩერდა.

2019 წლის შემოდგომაზე ჩატარდა „ნიკორა ჰოლდინგის“ მენეჯმენტის, შუა და მაღალი რგოლის მენეჯერების თიმბილდინგი, ქალაქგარეთ. ეს შეხვედრა აერთიანებდა ორ მიზანს: კომპანიებში მიმდინარე სიტუაციის გაცნობა ჰოლდინგის სხვა შვილობილი კომპანიების

მენეჯერებისათვის და ამავდროულად, ემსახურებოდა კომუნიკაციის გაუმჯობესებას, გამყარებას კოლეგებს შორის. იგეგმება ანალოგიური ღონისძიების 2020 წლის შემოდგომის სეზონზე ჩატარება და ვიმედოვნებთ, რომ ეს მიმართულება კომპანიის კორპორატიული კულტურის ნაწილი გახდება სამომავლოდაც. ამას გარდა, მიმდინარე პერიოდში ხორციელდება სხვადასხვა ჯგუფებთან სხვადასხვა ტიპის განმავითარებელი და სამოტივაციო პროექტები: ტრენინგები, „ილბლიანი პარასკევის“ სამოტივაციო პროექტი, რომელიც გათამაშების პრინციპზეა აგებული და გათამაშებთ სხვადასხვა ტიპის საჩუქრებს. იგეგმება კიდევ და კიდევ ახალი პროექტების ჩაშვება: შეჯიბრები, სპორტული აქტივობები, თიშბილდინგ შეხვედრები და სხვა.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით ტარდება ტრენინგები სხვა და სხვა მიმართულებებით. გარდა ტრენინგებისა, სს „ნიკორა ტრეიდის“ ბაზაზე ხორციელდება სხვა და სხვა დარგის ექსპერტების მოწვევა და თანამშრომლებისათვის სემინარების ორგანიზება. ასევე, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება თანამშრომლების გადამზადება და პროფესიული ტრენინგების დაფინანსება ჰოლდინგის მასშტაბით.

კომპანია, ასევე, ზრუნავს არსებული კადრების პროფესიულ განვითარებაზე და პრიორიტეტს ანიჭებს შიდა კადრების დაწინაურებას, რაც ნამდვილად წარმატებით ხორციელდება.

მალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხი, გამომდინარე აქედან, კომპანიაში არსებობს „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი“ ს თანამდებობა. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი პასუხისმგებელია ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოების ნორმები, ტარდებოდეს პრევენციული მონიტორინგი და ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება. ყოველწლიურად წარმოების თანამშრომლებს უტარდებათ შრომის უსაფრთხოების კუთხით შიდა სწავლება, ხოლო ყველა ახალი თანამშრომელი წარმოების ტერიტორიაზე შესვლამდე გადის ინდივიდუალურ სწავლებას შრომის უსაფრთხოების ნორმების და ჰიგიენურ/სანიტარიული ნორმების დაცვის კუთხით. 2020 წლის ზაფხულის სეზონზე დაგეგმილია ჰოლდინგის შემადგენლობაში არსებული საწარმოებისა და სასაწყობე მეურნეობის თანამშრომლების გეგმიური გადამზადება შრომის უსაფრთხოებიდან და ჰიგიენა სანიტარული მიმართულებით.

ასევე, დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების მხრიდან დადგენილი ჰიგიენურ/სანიტარული ნორმებისა და ხარისხი მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული პროცედურების დაცვას. დედა კომპანიის სს „ნიკორას“ სტრუქტურაში არსებობს ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზირებულად ემსახურება ჰოლდინგში შემავალ ყველა შვილობილ კომპანიას. დეპარტამენტში არსებული სპეციალისტების მატრიცული განაწილება ხდება შვილობილ კომპანიებზე, სპეციალისტები ახორციელებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს და შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში მიმართავენ შესაბამის ზომებს. პერიოდულად ხდება სპეციალისტების როტაცია შვილობილ კომპანიებს შორის, პრევენციის მიზნით. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა წარმოების პროცესში რამდენად იცავენ თანამშრომლები დადგენილ წესებს და სწორედ ამისთვის ტარდება ყოველდღიური მონიტორინგი წარმოების პროცესში, საჭიროების

შემთხვევაში, ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი სამუშაო ადგილზე ახორციელებს თანამშრომლის სწავლებას მის ტერიტორიაზე დადგენილ/გაწერილ წესების ფარგლებში. ამას გარდა, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება ჰიგიენა/უსაფრთხოების კუთხით შიდა ტრენინგები და თანამშრომელთა სწავლება, რომელიც 2020 წლის ზაფხულის სეზონზე კიდევ ერთხელ გეგმიურად განხორციელდება.

კომპანიაში არსებობს ბენეფიტების სისტემა, ერთ-ერთი არის წარმოებების და ლოგისტიკური მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების კვება. თანამშრომლების გამოკვებას ემსახურება ჰოლდინგის შვილობილი კომპანიის შპს „ნიკორას“ ბაზაზე არსებული სამზარეულო, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი პერსონალით. ისევე როგორც წარმოებაში, სამზარეულოს ხარისხის კონტროლი როგორც მზა პროდუქტის, ასევე ნედლეულის მუდმივად მიმდინარეობს. გარდა ამისა, არსებობს სხვა და სხვა ბენეფიტური სისტემა: მრავალშვილიან მშობლებთან მიმართებაში, დაბადების დღის სიურპრიზები, ყოველთვიური გათამაშებები სხვადასხვა ტიპის საჩუქრების და სხვა.

თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევით. დაზღვევის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ: დისტრიბუციის, სავაჭრო, სასაწყობო და წარმოების მიმართულებებით დასაქმებული თითოეული თანამშრომელი (ყველა, ვისაც პროდუქციასთან აქვს შეხება) გადის ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ შემოწმებას, ამას გარდა კომპანიის სათაო ოფისსა და საწარმოო ტერიტორიაზე მდებარეობს პირადი ექიმის სამუშაო ოთახი, რომელიც თანამშრომლებს ადგილზე უწევს სამედიცინო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს ვიწრო პროფილის ექიმთან.

ჩვენი მიზანია კომპანიაში არსებული ადამიანური კაპიტალი იყოს ძლიერი, თანამშრომლებს ქონდეთ სამართლიანობის განცდა, ქონდეთ ერთიანობის/გუნდურობის შეგრძნება და მოტივაცია საკუთარი ფუნქცია მოვალეობის ჯეროვანი/ხარისხიანად შესრულების.

3.2. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი საკითხები:

კომპანიას 2016 წლიდან ყავს გარემოსდაცვითი ზედამხედველი, რომლის ფუნქციებში შედის კომპანიის საქმიანობის გარემოს დაცვის შესახებ კანონთან და ნარჩენების მართვის კოდექსთან თანხვედრის უზრუნველყოფა, მათ შორის: საწარმოების საქმიანობიდან გარემოზე ნეგატიური ზეგავლენების შეფასება და შემცირებაზე ზრუნვა, ნარჩენების იდენტიფიცირება და სეპარირება მარკირებულ ურნებში.

2019 წლის დასაწყისში გადაიხედა ნარჩენების მართვის სისტემა და მოხდა 2020 წლისათვის გეგმის გაწერა, რომლის მიხედვითაც 2020 წლიდან დაწყო საწარმოო ნარჩენის (ორგანული ნარჩენები) სხვა ნარჩენებისაგან სეპარირება და მის ნაგავსაყრელამდე გადასატანად მოხდა სატრანსპორტო საშუალების გამოყოფა.

მოხდა იმ ტექნიკოსების სერტიფიცირება, რომლებიც მუშაობენ მაცივარაგენტებთან.

დაიგეგმა საწარმოო პროცესში ჰაერში გაფრქვეული ნახშირორჟანგისა და სხვადასხვა მასალების ნამწვის აღრიცხვა და რაოდენობის განსაზღვრა.

შრომის უსაფრთხოების საკითხები:

კომპანიას ჰყავს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 19 თებერვალს გამოქვეყნებული კანონით, შრომის უსაფრთხოების შესახებ; ასევე საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა დაკავშირებული რეგლამენტებით.

2019 წლის განმავლობაში:

მოხდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ერთიდან ოთხ თანამშრომლამდე გაზრდა, დაინიშნა ორი დამოუკიდებელი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ნიკორა ჰოლდინგის შვილობილ კომპანიაში - შპს „კორიდაში“, რომელიც წარმოადგენს ხორცპროდუქტების საწარმოს და მდებარეობს ქალაქ ფოთში, ასევე სს „ნიკორა ტრეიდი“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს მაღაზიათა ქსელს საქართველოს მასშტაბით.

შედგა სახელმძღვანელო, რომელშიც გაიწერა საწარმოებში განთავსებული დანადგარების უსაფრთხოდ და სუფთად გამოყენების წესები. სახელმძღვანელოსთან გაცნობა სავალდებულოა ყველა ახალი თანამშრომლისათვის (პოზიციის შესაბამისად).

მოხდა საწარმოების თანამშრომლებისათვის შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგების ორგანიზება, რომელთა შინაარსი მოიცავდა: ეროვნულ საკანონმდებლო რეგულაციებს, პირველადი სამედიცინო დახმარების საბაზისო საკითხებს, ელექტრო უსაფრთხოების საბაზისო საკითხებს, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მოქმედების ინსტრუქციას, საწარმოსთვის/უბნისთვის სპეციფიკური უსაფრთხო ქცევის წესებს.

მაღაზიების თანამშრომლებისათვის შემუშავდა შრომის უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქტაჟის მოდული, რომლის გავლა უწევს ყველა ახალ თანამშრომელს. მოდულის მიზანია მაქსიმალურად შეამციროს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები.

2020 წლისათვის დაგეგმილია:

თანამშრომლების ნაწილისათვის პირველადი დახმარების კურსები, რომელსაც წარუძღვება შესაბამისი კომპეტენციის მქონე მოწვეული ტრენერი, ასევე დაგეგმილია ელექტრიკოსების კვალიფიკაციის ამაღლება და საწარმოებსა და ადმინისტრაციულ შენობებში სახანძრო შეტყობინების სისტემის მოწყობა.

3.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა

„სს ნიკორა“ ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კვების პროდუქტების მწარმოებელი გახლავთ. დღესდღეობით, სს „ნიკორას“ ჰოლდინგში 12-ზე მეტი ბრენდი ერთიანდება, მათ შორის არის საქართველოში, მარკეტების ყველაზე დიდი ქსელი „ნიკორა სუპერმარკეტი“ და საკვები პროდუქტების წარმოების სხვადასხვა მიმართულებები: ხორცპროდუქტები, თევზი, პურ-ფუნთუშეული, რძის ნაწარმი, ნაყინი, მზა კერძები, ნახევარფაბრიკატები.

კომპანიის მისიაა ჰოლდინგში შემავალი კომპანიებისთვის მაქსიმალური პირობების შექმნა და ხელშეწყობა, რათა უზრუნველყოთ უმაღლესი ხარისხის კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც საზოგადოებისთვის იქნება ორიენტირი კვების ინდუსტრიაში.

ამ მიმართულებით შედეგების მისაღწევად „სს ნიკორა“ აღიარებს და ეფუძნება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა: პატიოსნება, პასუხისმგებლობა, სწრაფვა განვითარებისკენ. კომპანიის მიერ ამ პრინციპებისადმი ერთგულების შედეგია, რომ სამომხმარებლო ბაზარი იღებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას, სადაც სტანდარტი დაცულია, ასორტიმენტი მრავალფეროვანი, ფასი შეთავაზებული ფასეულობის შესატყვისი.

კომპანიის მიერ აღიარებული ფასეულობები და მოქმედების უმთავრესი პრინციპი - ქონდეს მომხმარებელს ამომწურავი ინფორმაცია ჩვენი პროდუქტების, ასორტიმენტის, ნედლეულის შესახებ, ამასთანავე, წარმოებული პროდუქციის სტაბილური მაღალი ხარისხი - განაპირობებს მაღალ სამომხმარებლო განწყობას, ნდობას, რეპუტაციას.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია მომხმარებელი - მისი საჭიროებებისა და დამოკიდებულების შესწავლა. რისთვისაც ტარდება სამომხმარებლო კმაყოფილების კვლევები, რაც განსაზღვრავს ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი პროდუქციის, მისი მიწოდებისა და მომსახურების ფორმების დანერგვასა და შეთავაზებას. სწორედ ბაზრის მოკვლევის და მომხმარებლების მოთხოვნების გათვალისწინების შემდეგ ხდება ახალი პროდუქტების შეთავაზება, დანერგვა. საჭიროებისა და მოთხოვნის შემთხვევაში, არსებული პროდუქტების გემოვნური თვისებების დახვეწვა და ჩვენი საზოგადოების საგემოვნო პარამეტრებზე მორგება.

ქვეყანაში შექმნილმა არაორდინალურმა მდგომარეობამ კოვიდის გამო, გარკვეული ცვლილებები შეიტანა ჩვენს საქმიანობაში, მაგრამ მოვახერხეთ, რომ მაქსიმალურად მცირე დროში გადაგვეწყო ჩვენი საქმიანობა ისე, რომ მოსახლეობას არ შექმნოდა დისკომფორტი და ყველა საჭირო პროდუქტი ადგილზე დახვედროდა. ვაცნობიერებდით რამდენად დიდი მნიშვნელობა ქონდა წარმოებისა და სავაჭრო ქსელის გამართულ მუშაობას, მომარაგების უწყვეტ ჯაჭვს და ახალ გამოწვევებს ღირსეულად ვუპასუხეთ. ამ პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებასთან ურთიერთობა, მისი ინფორმირება კომპანიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, როგორ, რას ვაკეთებთ.... ამ მიმართულებით არაერთი საინფორმაციო სტატია, რჩევა, რეკომენდაცია გავეცით, როგორც სხვადასხვა სააგენტოების პლატფორმებზე ასევე სოციალური ქსელების საშუალებით. ათობით შეჭირვებულ ადამიანს დავეხმარეთ ჩვენი პროდუქციით, ათასობით ლარი გადაირიცხა კოვიდის წინააღმდეგ შექმნილ ფონდში.

ნიკორასთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვების ინდუსტრიის მიმართულებით ახალგაზრდების განათლებულობის და კვალიფიკაციის ამაღლების წახალისება/მოტივაცია. ქვეყანაში, ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების დეფიციტია. სწორედ ამიტომ, რამდენიმე წელია, კვების ტექნოლოგიის მიმართულებით წარმატებული სტუდენტები ნიკორას სტიპენდიანტები არიან. გვსურს, ეს დარგი უფრო პოპულარული გახდეს და ხელი შევუწყოთ მათ პროფესონალებად ჩამოყალიბებას.

სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალი თითოეული ბრენდი მომხმარებელთან კომუნიკაციას როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთიანად ჰოლდინგის საშუალებით ახორციელებს. ურთიერთობის რეჟიმი უწყვეტია. ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით ხორციელდება. სიახლეების გავრცელება და მიწოდება მედიის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით ხდება. განსაკუთრებით აქტიურები ვართ სოციალურ ქსელებში.

კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით „ნიკორას“ ფეისბუქ გვერდის პარალელურად შექმნილია „ოკეანეს“, „პალომას“, „მზარეულის“ ფეისბუქ გვერდები. ნებისმიერი შენიშვნა ან რეკომენდაცია პირველ რიგში ხვდება მარკეტინგის დეპარტამენტში და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან. განხილვის შემდეგ კი გადამისამართდება შესაბამის პასუხისმგებელ სამსახურებში. მომხმარებლის მიერ გამოთქმული პრეტენზიის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხის მომზადება და მომხმარებლის საქმის კურსში ჩაყენება ოპერატიულად ხორციელდება.

კომპანია ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვეობას, კომუნიკაცია იქონიოს მომხმარებელთან, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები და მუდმივად შესთავაზოს სიახლეები.

3.4. „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 21 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლადგამოჩენილი საწარმოების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

საყოფაცხოვრებო პროდუქციის, ხორცპროდუქტების და სხვა სწრაფად ბრუნვადი სამომხმარებლო პროდუქციის ფასები და გაყიდვის მოცულობები გარკვეულწილად არის დამოკიდებული და შეიძლება შემცირდეს რეცესიის შემთხვევაში. გეოგრაფიულად „კომპანიის“ საქმიანობა საქართველოზე მოდის, რაც „კომპანიას“ მგრძნობელს ხდის ადგილობრივი ეკონომიკური რყევების მიმართ.

ქვეყანაში ტურისტების რაოდენობას გარკვეული გავლენა აქვს საცალო გაყიდვების მოცულობაზე, რადგან ზოგიერთი ტურისტი საქართველოში ყოფნის დროს ადგილობრივ მაღაზიებში ყიდულობს პროდუქციას. 2019 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან ავიამიმოსვლის შეზღუდვამ შესაძლოა უარყოფით გავლენა იქონიოს საქართველოში ტურიზმის მოცულობაზე და შესაბამისად „კომპანიის“ გაყიდვებზე. ავიამიმოსვლის შეზღუდვის მიუხედავად 2019 წლის ივლისში ვიზიტორების რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდზე მეტი იყო და „კომპანიის“ მენეჯმენტი არ მოელის ამ მხრივ მატერიალურ გავლენას ფინანსურ შედეგებზე.

აღსანიშნავია, რომ ნიკორა გამორჩეულია იმით, რომ მისი ვერტიკალური ინტეგრაციით, შექმნილი აქვს მიწოდების მთელი ჯაჭვი, პირველადი პროდუქტიდან მომხმარებლისთვის საბოლოო სახით მიწოდებამდე, მუდმივი უკუკავშირი აქვს მომხმარებლებისგან მათი არსებული და პოტენციური მოთხოვნილებების შესახებ. აღნიშნული ფაქტორები, ერთობლიობაში, ქმნიან უდიდეს კონკურენტულ უპირატესობას ნიკორასთვის და ამავე დროს რთულად გადასალახ ბარიერს ბაზარზე ახალი მოთამაშეებისთვის.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.

ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განგრძობადმა ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე და ასევე ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

„კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. ადგილობრივი იმპორტიორებისგან გაკეთებული შესყიდვები ლარში არის დენომინირებული და კურსის ცვლილება პირველ რიგში იმპორტიორებზე ახდენს გავლენას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაეცეს „კომპანიას“. გასაყიდი საქონელი სწრაფად ბრუნვადია, რის გამოც „კომპანიას“ საკუროსო ცვლილებების შედეგად შეცვლილი თვითღირებულების გასაყიდ ფასებში ასახვა ძალიან შეუძლია. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია, თუმცა არსებობს რისკი, რომ ადგილობრივი მომწოდებლების და დისტრიბუტორების მიერ მოხდეს ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ და საოპერაციო შედეგებზე.

„კომპანიის“ საიჯარო კონტრაქტების დაახლოებით 75% აშშ დოლარშია დენომინირებული, ხოლო დანარჩენი ნაწილი უმეტესად ლარში და მცირე ნაწილი ევროში. უცხოური ვალუტის იჯარები ფიქსირებული განაკვეთისაა, ხოლო ლარის იჯარები უმეტესად კონკრეტული მაღაზიის ბრუნვაზეა დაკავშირებული. იჯარების საშუალო ხანგრძლივობა 7 წელს შეადგენს. უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ იჯარებთან მიმართებით „კომპანიას“ უმეტესწილად არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები. შედეგად, ვალდებულებების ვალუტის მიმართ ლარის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ და აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ პროდუქციას უმეტესად ადგილობრივი იმპორტიორებისგან ყიდულობს და რთულია იმის შეფასება, თუ მთლიან გაყიდვებში რა წილი აქვს იმპორტირებულ პროდუქციას, სავალუტო კურსის გაუარესების შედეგად იმპორტირებული პროდუქციის ფასის ზრდამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე. პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებასთან ერთად „კომპანია“ ახდენს გასაყიდი ფასის კორექტირებას; სავალუტო კურსების მერყეობის ან მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში მომხმარებელმა შესაძლოა შეამციროს ხარჯვა ან შეცვალოს შესყიდული პროდუქციის სახეობები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება,

მარაგების დაძველება ან მარჟების შემცირება. მიუხედავად ამისა, „კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით მსგავს სიტუაციებში მომხმარებლის ქცევაში ცვლილება ყველაზე ბოლოს ეხება საყოფაცხოვრებო პროდუქციას და სურსათს და შესაბამისად „კომპანია“ შეძლებს სავალუტო კურსით გამოწვეული ცვლილებების ფასში სრულად ასახვას ნეგატიური ეფექტების გარეშე.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისთვის ნიკორა მუდმივად ცდილობს, და ამისთვის იყენებს შესაბამის მექანიზმებს, მინიმალურ დონეზე იქონიოს უცხოურ ვალუტებზე დამოკიდებულების ხარისხი. ასე მაგალითად უკვე 2019 წლის ბოლოსთვის სასესხო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი ლარშია დენომინირებული, მათ შორის სს ნიკორას და სს ნიკორატრიდის მიერ გამოშვებული ობლიგაციები, რომლითაც გადაიფარა სავალუტო სესხები.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურისა და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალუტო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

თუმცა, ნიკორას გააჩნია საკმარისი ფინანსური ბერკეტები და ინსტრუმენტები კაპიტალის ეფექტურად მართვისთვის, და ამავე დროს აპრობირებული აქვს, საქართველოს ბაზრის მასშტაბის გათვალისწინებით, მსხვილი კაპიტალის, როგორც სავალუტო ისე სააქციო, მოზიდვა, რასაც მუდმივად შეფერხების გარეშე ემსახურებოდა. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, უფრო მარტივს ხდის კომპანიისთვის იაფი კაპიტალის ბაზარზე წვდომას.

საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიის“ ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალი მთლიანად მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად,

„კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

თუმცა, ნიკორა ოპერირებს ისეთ დარგში, როგორიცაა ყოველდღიური მოხმარების კვების პროდუქტების წარმოება-გაყიდვა, შესაბამისად, ზემოთ მოცემული რისკების მიმართ არსებითად უფრო მედეგია, ვიდრე სხვა დარგში მოღვაწე ქართული კომპანიები, ვინაიდან ყოველდღიური მოხმარების კვების პროდუქტების ბაზარი შედარებით ნაკლებად მგრძნობიარეა ისეთი ფაქტორების ცვლილების მიმართ როგორიცაა პოლიტიკური თუ სამართლებრივი და გარკვეულწილად ეკონომიკური პირობებიც.

ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე და მის ფინანსურ შედეგებზე.

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს მშპ-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, რაც გამოიწვია 2008 წლის კონფლიქტმა სამხრეთ ოსეთში და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (რამაც შეაჩერა მთავრობის მიერ 2004 წელს განხორციელებული რამდენიმე ეკონომიკური რეფორმის შედეგად დაწყებული მაღალი ეკონომიკური ზრდა), 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა. საქსტატის ინფორმაციით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობამ 2016 წელს მიაღწია 1,650.3 მილიონ აშშ დოლარს, 2017 წელს - 1,962.6 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 2018 წელს - 1,265.2 მილიონ აშშ დოლარს. 2019 წლის წინასწარი მონაცემებით ინვესტიციებმა 1,267.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინეს. ამასთან, მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2016 წელს 2.8% შეადგინა, 2017 წელს - 4.8%-ს, ხოლო 2018 წელს - 4.7%-ს. 2019 წელი მშპ-ს რეალური ზრდა 5.1% იყო. 2017-2019 წლებში მთლიანი ეკონომიკის ზრდის ტემპის გაუმჯობესება უმთავრესად დაკავშირებული იყო მშენებლობაში, ფინანსურ წარმომადგენლობაში, უძრავ ქონებაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, და ასევე სავაჭრო და სატრანსპორტო სექტორებში მომხდარი ზრდებით

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა არის საკმაოდ დოლარიზებული. „სებ“-ის მონაცემებით, დოლარიზაციის მაჩვენებელმა კომერციულ ბანკებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებისათვის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 71.4%-ს წარმოადგენდა, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 65.6%-ს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 63.1%-ს. მიუხედავად იმისა, რომ სებ-მა მიიღო ზომები საქართველოს სავალუტო ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად, დოლარიზაციის მაჩვენებელმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი

გავლენა იქონიოს სეზ-ის სავალუტო და გაცვლითი კურსების პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობაზე.

შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულების“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებით“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანიამ“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები თავის შრომით ხელშეკრულებებში. ცვლილებები მოსალოდნელია საკვების უსაფრთხოების რეგულაციებშიც.

აღნიშნული რისკი ისეთ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც ამავე დროს დამატებით დადებით შესაძლებლობებს აჩენს კომპანიისთვის. დღესდღეობით საქართველოს

ხორცპროდუქტების ბაზარზე საკმაო რაოდენობის წვრილი კომპანია ოპერირებს, რომელთა პროდუქციის ხარისხი საკმაოდ დაბალია ნიკორას მიერ წარმოებულზე, თუმცა მაღალი სტანდარტის რეგულაციების არ არსებობის გამო, მათ ერთგვარი თავისუფლება აქვთ მიცემული. თანამედროვე ევროპული რეგულაციების საქართველოში დანერგვის შედეგად ნიკორა, კონკურენტებთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება ერთის მხრივ მისი უკვე არსებული მაღალი ხარისხი პროდუქციის გამო და მეორეს მხრივ, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, იაფი კაპიტალის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობით.

აგრეთვე ხაზგასასმელია არაორგანიზებული უბნის მაღაზიების, მოცემული ეტაპისთვის, ბაზარზე არსებული წილის მოსალოდნელი შემცირების ეფექტიც. თანამედროვე ევრორეგულაციები და ნორმები არამხოლოდ კვების პროდუქტების წარმოების სტანდარტებს შეეხება, არამედ მათი შენახვის და საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდების თანამედროვე პირობებს, შესაბამისად ამ მიმართულებითაც ნიკორას დამატებით შესაძლებლობა და გაფართოების პოტენციალი გააჩნია.